*დანართი №2*

## ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

## ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

*სსიპ-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლა*

### ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ კვანტიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

**წევრები:**

1. გოჩა შუბითიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
2. ხათუნა დუგლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
3. ანა ანუშიძე ( საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
4. მარინა თავართქილაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)
5. სალომე არაბიძე ( ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)
6. ხათუნა მარკოზაშვილი ( ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)
7. ნიკოლოზ ჩუბინიძე ( სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)
8. მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)
9. ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)
10. ნინო ჭიჭინაძე ( ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 243572576 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფელი კიცხი |
| იურიდიული მისამართი | ხარაგაულის მუნიციპალიტეტი , სოფელი კიცხი |
| ფაქტობრივი მისამართი | ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფელი კიცხი |
| საფოსტო ინდექსი | 5600 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | Skolebi.emis.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | Kitskhi@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის | 577348100 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| ნომერი | |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 23 აგვისტოს MES 4 23 0001029534 ბრძანება |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2023 წლის 18 და 19 ოქტომბერი |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი საფეხური | ქართული ენა | ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფელ კიცხი |
| | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო საფეხური | ქართული ენა | ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფელ კიცხი |
| | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო საფეხური | ქართული ენა | ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფელ კიცხი |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 23 აგვისტოს MES 4 23 0001029534 ბრძანების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა სსიპ-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლის თვითშეფასების ფორმა, თანდართული დოკუმენტაცია და დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 18 და 19 ოქტომბერს. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მატერიალური რესურსი, ინფრასტრუქტურა, გაესაუბრნენ სკოლის დირექციას, სკოლის წარმომადგენლებსა და მასწავლებლებს. საგნობრივ ესპერტებთან შეხვედრები გაიმართა დისტანციური ფორმატით. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა სკოლას მიაწოდეს ინფორმაცია ძირითადი მიგნებების შესახებ.

ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

### VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

### VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

## ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

### I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ **შეესაბამება**<br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☐ შეესაბამება<br>☒მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 4.1** | ☒ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: 104 | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐ | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒ | დაწესებულებაში ვიზიტის დროს გაირკვა, რომ სკოლას თვითშეფასების ფორმაში შეცდომით ჰქონდა მოსწავლეთა რაოდენობა მოთხოვნილი,(104) რეკომენდაციის შესაბამისად, სკოლამ გაგზავნა წერილი განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში ზღვრული რაოდენობის კორექტირებასთან დაკავშირებით და მოითხოვა 140. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სკოლის მიერ მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას(140) |

## III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა:

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

## IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული<br>და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი* | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N....* | | .............. |
| | | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| *სტანდარტი N1* | *სკოლის ფილოსოფია* | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი* | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | *სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა* | |
| *ინდიკატორი N 3.1.2.3* | *პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭირვალეობის პრინციპების დაცვით.* | *სკოლამ არაუგვიანეს 2024 წლის 10 სექტემბრისა უზრუნველყოს დაწყებითი კლასებისა და სპორტის მასწავლებლების პოზიციაზე კანონმდებლობის შესაბამისი პროცედურებით მასწავლებლების დასაქმება.* |
| *ინდიკატორი 3.4.1.1.* | *სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე* | *ა) სკოლამ არაუგვიანეს 2023 წლის 20 დეკემბრისა* |

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას. | უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტში ხელსაბანის მოწყობა.<br>ბ) სკოლამ 2024 წლის 30 მარტამდე უზრუნველყოს შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება.<br>დ) სკოლამ არაუგვიანეს 2024 წლის 19 ოქტომბრისა უზრუნველყოს ტექნიკური შემოწმების ფარგლებში აღმოჩენილი ხარვეზების გასწორება და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება |
| ინდიკატორი 3.5.1.2 | დაწესებულების ინფრასტრუქტურა , მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. | სკოლამ არაუგვიანეს 2024 წლის 30 იანვრისა უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის ცალკე სივრცის გამოყოფა და კომპიუტერული ლაბორატორიისა და ბიბლიოთეკის გამიჯვნა |
| | | |
| **სტანდარტი N4** | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | **სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია** |
| ინდიკატორი 4.2.3.1 | სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი | სკოლამ არაუგვიანეს 2023 წლის 20 დეკემბრისა უზრუნველყოს შინ სწავლების მექანიზმების შემუშავება. |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| **სტანდარტი N2** | **სასკოლო კურიკულუმი** | **სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია** |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | (ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | |
| *ინდიკატორი N....* | | .............. |
| | | |
| | | |

## VI. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ* არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდკატორი 1.1.1.3* | სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით | *სკოლამ მისია,ხედვა, ღირებულებების რევიზიისას, უფრო გააქტიურის მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა შემუშავების პროცესში.* |
| *ინდიკატორი 1.2.1.2* | სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს(ფილოსოფიას)ის შეიცავს მისასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. | *სკოლის მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა დოკუმენტში სტრატეგიული გეგმის თარიღი არის განსხვავებული(2023-29;2023-30) სკოლამ დააზუსტოს თარიღები და ასახოს ყველგან ერთნაირად.* |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული | *რჩევა* |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | |
| ინდიკატორი N3.1.1.1. | სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული | სკოლამ დააზუსტოს დოკუმენტის დასახელება-დოკუმენტის სახელი „სტრუქტურული ერთეულების/პირების აღმწერი დოკუმენტი“ ჩანაცვლდეს სახელით „სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი.“ |
| ინდიკატორის 3.2.1.1 | სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები | უმჯობესია სკოლამ დააკონკრეტოს/დააზუსტოს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები |
| ინდიკატორის 3.4.1.1.ს | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას | სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი |
| სტანდარტი N4 | მოსწავლეთა მხარდაჭერა | რჩევა |
| ინდიკატორი N4.2.2.3 | სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. | შეიმუშაოს მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების კვლევისათვის საჭირო ინფორმაციის მოპოვების მეთოდებსა და ინსტრუმენტებს. მონაცემთა ანალიზის საფუძველზე შეფასდება, თუ რამდენად დაეხმარა მოსწავლეს სკოლა მისი უნარების და ინტერესების შესაბამისი არჩევანის გაკეთებაში |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | | *და რა უნდა გაითვალისწინოს შემდგომში მოსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში.* |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N....* | | .............. |
| | | |
| | | |

**VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

*ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია სკოლის მიერ არგუმენტირებულ პასუხში წარმოდგენილი ინფორმაცია და შესრულების ვადები, შესაბამისად, გაზიარებულ იქნა არგუმენტირებული პოზიცია. ინდიკატორებიც შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი. მესამე სტანდარტი შეფასდა მეტწილ შესაბამისად და მეოთხე სტანდარტი შესაბამისად.*

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

**1. სკოლის ფილოსოფია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიაში ხაზგასმულია მდგრადი განვითარების ეროვნული მიზნების დანერგვა, მოსწავლეებში უფლებებისა და მოვალეობების გააზრება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, აქცენტი კეთდება პროფესიულ განვითარებაზე. სკოლის მიზანია მოსწავლეებს შესძინოს ღირებულებების, უნარების, დამოკიდებულებების,ცოდნისა და კრიტიკული გააზრების კომპეტენციები. სკოლის ხედვაა თანამედროვე მოთხოვნათა და გამოწვევათა შესაბამისი დემოკრატიული კომპეტენციების მოქალაქის ფორმირება.სკოლის მისია და ხედვა სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა მისიაში აქცენტს აკეთებს მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვაზე, რაც წარმოადგენს განაცხადს სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შესაქმნელად, სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია, შეისწავლოს თემის ინტერესები, პრიორიტეტები და ასახოს სკოლის მისაში და ხედვაში. ვინაიდან თემში მნიშვნელოვანია პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების ხელშეწყობა, სკოლა სწორედ ამიტომაც აქცენტს აკეთებს ამ მიმართულებაზე. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი აკ.წერეთლის სახელობის უნივერსიტეტთან და ხორციელდება პროფესიული პროგრამა ,,პროფესიული უნარების განმავითარებელი კურსი შრომის უსაფრთხოებასა და გარემოს დაცვაში“ სხვადასხვა პროექტითა და არაფორმალური ღონისძიებებით სკოლა წინ წამოსწევს თავის როლს, როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის მისია- ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და წიგნიერების დონის ამაღლება აქცევს სკოლას, როგორც თემის საგანმანათლებლო ცენტრს.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. სკოლა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში საუბრობს მისია, ხედვა, ღირებულებების შექმნის პროცედურებზე.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია და მასზე მსჯელობა გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა. სკოლის ავტორიზაციის პროცესის დაწყებისას, სტრატეგიული განვითარების გეგმის შექმნის მიზნით შექმნილი ჯგუფის სხდომის ოქმებში იკითხება სკოლის მისიასა და ხედვაზე საუბარი, შემუშავებულია კითხვარები მოსწავლისათვის და მშობლისთვის, (ერთნაირი), სადაც რამდენადმე საუბარი სკოლის ფილოსოფიაზე. რადგან სკოლის მისია და ხედვა სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია, რომელიც შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან, რომლის შემადგენლობაში არიან მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა წარმომადგენლები, შეიძლება დავასკვნათ, რომ მისია ხედვა ღირებულენბების შემუშავებაში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება.
*რჩევა- სკოლამ მისია,ხედვა, ღირებულებების რევიზიისას, უფრო გააქტიუროს მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა შემუშავების პროცესში.*

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მისიისა და ხედვის შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართული სკოლის პედაგოგები. სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს მისია, ხედვა და ღირებულებები, განხილულია პედაგოგიურ საბჭოზე და შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან, რომლის წევრებსაც მშობელთა და მოსწავლეთა წარმომადგენლებიც შეადგენენ. შესაბამისად შეიძლება ჩაითვალოს, რომ მისია ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. მისია,ხედვა ღირებულებები განტავსებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის ვებ გვედრზე, სკოლის შენობაში, შესაბამისად სასკოლო საზოგადოებას ჰქონდა საშუალება გაცნობოდა პროექტს და წარმოედგინათ საკუთარი წინადადებები და რეკომენდაციები. გაგზავნილია დამრიგებელთა მიერ მშობელთა დახურულ ჯგუფებში.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები დეკლარირებულია როგორც სტრატეგიული განვითარების გეგმაში, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაში, საჯაროობა დასტურდება აგრეთვე სკოლის ვებ გვერდზე (skolebi.emis.ge) და შენობაში განთავსებით.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

6. სკოლის სახელწოდება, სსიპ-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლა, შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448 (15/09/2005) -"ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-24;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N 1,N 2;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან;
- მემორანდუმი აკ.წერეთლის უნივერსიტეტთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული გეგმის სამუშაო ჯგუფის ოქმი;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება**
**1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა**

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლამ ავტორიზაციის პროცესის დაწყებისას შექმნა სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფი, ჯგუფის სხდომები ფორმდებოდა ოქმით, პირველ შეხვედრაზე დღის წესრიგში დგას სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაზე მუშაობა, სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, მასი განხილვა და დამტკიცება მოხდა აგრეთვე პირველ პედაგოგიურ სხდომაზე(პედ.საბჭოს სხდომის ოქმი N1. 04.09.23) მეთოდოლოგია განსაზღვრავს შემუშავების პრინციპებს, ჩართულ მხარეებს, გაზიარებისა და მონიტორინგის მექანიზმებს, შემუშავების ეტაპებს და სხვ. დოკუმენტი აგრეთვე მოიცავს სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებსაც. ინფორმაციის შეგროვების შემდეგ ხდება სკოლაში არსებული სიტუაციის ანალიზი (SWOT ანალიზი), რომლის საშუალებითაც განისაზღვრება სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე შესაძლებლობები და საფრთხეები. ანალიზის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით ხდება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების დასახვა.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომელიც არის ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიასა და ხედვას. სტრატეგიული გეგმა მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, ხოლო ამ მიზნების რეალიზების გზად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილია ამოცანები. გეგმაში განსაზღვრულია 7 სტრატეგიული მიზანი. სკოლის მისიაში დეკალრირებული პროფესიული განათლებისა და კარიერული დაგეგმვის ხელშეწყობა გამოტანილია ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზნად, წიგნიერების დონის ამაღლებისთვის სკოლა სტრატეგიულ მიზნად ისახავს წიგნადი ფონდის შევსებასა და არაფორმალური განათლების გააქტიურებას.

რჩევა- სკოლის მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა დოუმენტში სტრატეგიული გეგმის თარიღი არის განსხვავებული(2023-29;2023-30) სკოლამ დააზუსტოს თარიღები და ასახოს ყველგან ერთნაირად.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. სკოლის სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი, შემუშავებულია 2023-24 სასწავლო წლისთვის და ითვალისწინებს სტრატეგიულ გემაში მოცემულ მიზნებს და სკოლის თვითშეფასებას. სკოლის წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნშნეს, რომ სკოლის თვითშეფასება წრილობით არ გაფორმებულა, მაგრამ სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლაში მიმდინარე პროცესების ანალიზიდან.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**4.** სკოლის მიერ წარმოდგენლი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: მიზნები, ამოცანები რომლებიც გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმისგან, ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორებო, ვადები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსები.

**ინდიატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N 1, N 2
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა(2023-29)
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (23-24)
- სტრატეგიული გეგმის სამუშაო ჯგუფის ოქმი;
- გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, მონიტორინგსა და შეფასებას ეთმობა ცალკე თავი თავად სტრატეგიულ გეგმაშიც, სკოლა განსაზღვრავს, რომ სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი განხორციელდება ორჯერ: შუალედური და შემაჯამებელი მონიტორინგი და შეფასება. შუალედური ტარდება სტრატეგიული გეგმის განცორციელების დაწყებიდან მესამე სასწავლო წლის ბოლოს, ხოლო შემაჯამებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება ვადის გასვლისას.მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სკოლის მიერ შექმნილი მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფი, რომელიც შედგება მინიმუმ 3 წევრისგან. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჯგუფი, საკითხი განხილულია სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის სხდომაზეც(ოქმი N 2)

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. პირველადი ავტორიზაციის პირობებში აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნების შესრულების შეფასება ვერ ხერხდება. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლას აქვს მზაობა განახორციელოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში უკუკავშირის მიღების მეთოდებად სკოლას განსაზღვრული აქვს დაკვირვება, ანგარიშების შესწავლა, ინტერვიუები და გამოკითხვები, ანკეტირება. აგრეთვე სკოლას შექმნილი ჰყავს მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფი.

**ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას**

3. პირველადი ავტორიზაციის პირობებში აღნიშნული ინდიკატორის შეფასება ვერ ხერხდება, სამომავლოდ, სკოლას აქვს მზაობა განსაზღვროს მეთოდოლოგიით, დოკუმენტებისა და განხორციელების შედეგების საჯაროობა.

**ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას**

4. პირველადი ავტორიზაციის პირობებში აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნების შესრულების შეფასება ვერ ხერხდება. სკოლის წარმომადგენლები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგებს უდიდესი მნიშვნელობა ექნება სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, მასში განსაზღვრული პროცედურები, შეიცავს შესაბამის მექნიზმებს, რაც დაეხმარება სკოლას შედეგების გაანალიზებაში .

**ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N 1, N 2
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა(2023-29);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (23-24);
- სტრატეგიული გეგმის სამუშაო ჯგუფის ოქმი;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფი;
- გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 3.1. პერსონალის მართვა

### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი,მოსწავლეთა თვითმმართველობა, დირექცია. სკოლის სტრუქტურა გამოკრული გახლდათ სკოლის ფოიეში, მცირედი უზუსტობით, ექსპერტთა მითითება გაითვალისწინა სკოლამ და სტრუქტურა განახლდა. სკოლას დამტკიცებული აქვს ,,სტრუქტურული ერთეულების/პირების აღმწერი დოკუმენტი,, რომლითაც განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები.

   სკოლაში საშტატო განრიგით დასაქმებულია 33 თანამშრომელი, აქედან 27 მასწავლებელია, 9 -კი ადმინისტრაციის წარმომადგენელი და ტექნიკური პერსონალი. თანამშრომელთა ფუნქციები აგრეთვე განსაზღვრულია შესაბამისი ხელშეკრულებით და სკოლის შინაგანაწესით.

   რჩევა- სკოლამ დააზუსტოს დოკუმენტის დასახელება დოკუმენტის სახელი - ,, სტრუქტურული ერთეულების/პირების აღმწერი დოკუმენტი“ ჩანაცვლდეს სახელით- ,,სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი“

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი,დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული ,,სტრუქტურული ერთეულების/პირების აღმწერი დოკუმენტით“ და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილ თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს დაკისრებული აქვს მისი ფუნქციის შესაბამისი აქტივობების განხორციელება. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს და სხვა სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ამსახველი მასალა, საიდანაც თვალნათლივ ჩანს, რომ მათ შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სტრუქტურული ერთეულების/პირების აღმწერი დოკუმენტი
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი N 1, N 2
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი
- სკოლის სტრუქტურა
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის საფუძველზე, როგორიცაა: შინაგანაწესი, სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების აღმწერი დოკუმენტი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. სკოლის შინაგანაწესში მკაფიოდაა გაწერილი დასაქმებულთა უფლება- მოვალეობები ამასთან ახალი მიღებული კადრი ეცნობა შრომის შინაგანაწესს, რასაც ადასტურებს ხელმოწერით. აღნიშნული დადასტურდა გაფორმებული ხელშეკრულებებით.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლაში ვიზიტისას, სკოლის წარმომადგენლებთან და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ სკოლა მაქსიმალურად ხელს უწყობს თითოეული დასაქმებულის რეალიზებას და პროფესიულ ზრდას, რეალურად მიმდინარეობს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა; სკოლაში უწყვეტად მიმდინარეობს თანამშრომელთა მუშაობაზე დაკვირვება და საჭიროებების გამოვლენა. სკოლას დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიზანია უზრუნველყოს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა ეფექტიანად და კანონთან, მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან ურთიერთდაკავშირებულად.

**ინდიკატორის მოთხოვნები დამაყოფილებულია**

3. სკოლა სხვადასხვა დოკუმენტში აღწერს, რომ სკოლის საქმიანობა ამ მიმართულებით ეფუძნება მოქმედ სამართლებრივ აქტებს, აღწერს პედაგოგის პოზიციაზე ვაკანსიის გამოცხადების წესს, იქმნება საკონკურსო კომისია, დგება ოქმი. სტრუქტურული ერთეულების/პირების აღმწერ დოკუმენტში მოცემულია კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სწორედ მათი გათვალისწინებით ხდება ვაკანტური პოზიციის შევსება.სკოლაში დასაქმებულთა პირად საქმეებში წარმოდგენილია ნასამართლეობის შესახებ ცნობა,ხოლო 2022 წლის შემდეგ მიღებულ თანამშრომელთა საქმეში სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულოს ჩადენისათვის ნასამართლეობის ცნობა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა.
სკოლას ჰყავს 2 უსტატუსო მასწავლებელი, რომლებიც დასაქმებულნი არიან კონკურსის გარეშე- დაწყებითი კლასებისა და სპორტის მასწავლებლების პოზიციაზე და არ ფიქსირდებიან არც მოწვეულ მასწავლებლებად.
**ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული**

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც აფიქსირებს, რომ უზრუნველყოფს დაწყებითი კლასებისა და სპორტის მასწავლებლების პოზიციაზე კანონმდებლობის შესაბამისი მასწავლებლების აყვანას, შესრულების ვადად განსაზღვრულია 2024 წლის 10 სექტემბერი.</u>
<u>**შედეგად, ინდიკატორი შეფასდა მეტწილ შესაბამისად.**</u>

4. სკოლის პერსონალის, მასწავლებლების, ბუღალტერის, ექიმის და სხვ კვალიფილაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. სკოლას დოკუმენტში „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა" კონკრეტულ პოზიციაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ასევე სკოლას დამტკიცებული აქვს ,,სტრუქტურული ერთეულების, პირების აღმწერი დოკუმენტი“, რომელშიც განსაზღრულია კონკრეტულ პოზიციებზე საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მასწავლებელთა პირად საქმეებში იძებნება პერსონალის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, პროფესიული განვითარების ამსახველი მასალები, რეზიუმეები და კანონმდებლობით განსაზღვრული ცნობები.

**ინდიატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. პერსონალის მართვა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება გუნდური და მონაწილეობითი მუშაობის პრინციპებს.რაც დასტურდება ადგილზე სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით, სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის შემუშავებასა და შეთანხმებაში ჩართულია სამეურვეო საბჭო და პედაგოგიური საბჭო.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

6. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დასაქმებულ პირთა წახალისების სახეები და გამოყენების წესი.თანამშრომელთა მოტივირების შესახებ ჩანაწერია სკოლის მიერ დამტკიცებულ ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში“, წარმატებული პროექტის შედეგების და კონფერენციის მასალების გაზიარება ხდება კათედრებზე და Facbook გვერზე.შექმნილია ლიდერ მასწავლებელთა მუშა ჯგუფი, რომელიც ჩართულია USAID-ის საბაზისო განათლების პროექტში და იქ მიღებულ გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს. მასწავლებლები გამოცდილების გაზიარების მიზნით ესწრებიან ერთმანეთს. სასკოლო კლუბებს შორის პარტნიორობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრინციპით იგეგმება და ხორციელდება ერთობლივი სასკოლო პროექტები. მიმდინარეობს წარმატებული პერსონალის წახალისება სიტყვიერი და წერილობითი მადლობებით.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- სკოლის შინაგანაწესი
- სტრუქტურული ერთეულების/პირების აღმწერი დოკუმენტი
- საონკურსო კომისიის შექმნის ბრძანება(ექიმი)
- კონკურსის ჩატარების წესი(ექიმი)
- პერსონალის პირადი საქმეები
- სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრება
- დასაქმებულთა ხელშეკრულებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას აქვს შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც გაწერილია, რომ სკოლა ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით ახორციელებს თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას. სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა ხარისხის მართვის უზრუნველყოფის დოკუმენტი, რომელშიც დაგეგმილი იყო პერსონალის პროფესიული საჭიროებების დადგენის მექანიზმები, სკოლის წარმომადგენლებთან, კათედრებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები წლის განმავლობაში გეგმავენ და ასრულებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ აქტივობებს.ესწრებიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს. კათედრები განიხილავენ სიახლეებსა თუ მუშაობის პროცესში წამოჭრილ სირთულეებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. სკოლა ზრუნავს მასწავლებლის პროფესიულ ზრდა-განვითარებაზე, ხელს უწყობს სასკოლო და საერთაშორისო პროექტების დანერგვა განხორციელებას. სკოლას დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის დებულება (წარმოადგინა ადგილზე), დებულებაში გაწერილია მასწავლებელთა გაკვეთილების ჩატარების და პროფრესიული საჭიროებების დადგენის ვალდებულება.მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების დადგენის მექანიზმად სკოლას ასევე მოაზრებული აქვს მასწავლებელთა რეფლექსიები და ანგარიშები, რომლებიც ინახა ადგილზე, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის მართვაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პასუხისმგებელი პირი. სკოლას მასწავლებელთა გარდა, სხვა პერსონალის პროფესიული განვითარების, საჭიროებათა დადგენის მექანიზმები გაწერილი აქვს ,,ადამიანური რესურსების პოლიტიკის დოკუმენტში" - მუხლები: შესრულებული სამუშაოს შეფასება,თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება, თანამშრომელთა მოტივირება და სხვ, მუხლები.

*რჩევა- უმჯობესია სკოლამ დააკონკრეტოს/დააზუსტოს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები*

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლაში შექმნილი ხარიხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, აქტიურად თანამშრომლობს საგნობრივ კათედრებთან და ესწრება პედაგოგთა საგაკვეთილო პროცესს. მოსმენილი გაკვეთილის შესახებ აძლევს პედაგოგს უკუკავშირს, უკუკავშირს განიხილავენ კათედრაზე, ითვალისწინებენ და გასცემენ რეკომენდაციებს, საჭიროებიდან გამომდინარე გეგმავენ შემდეგ აქტივობებს: ურთიერთდასწრება გამოცდილების გაზიარების მიზნით, კვალიფიკაციის ამაღლება ტრენინგებითა და სხვადასხვა აქტივობებით. აქტუალურია ,,კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტიც".საჭიროების შემთხვევაში სკოლის ბუღალტერი და სხვა პერსონალი ესწრება ტრენინგებს.პერსონალთა პირად საქმეში წარმოდგენილია სერტიფიკატები.მართალია, სკოლას არ აქვს საჭიროებათა დადგენის კონკრეტული მექანიზმი ,თუმცა სკოლას ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს ტრენინგები სკოლის ექიმისათვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი აქტივობები

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. სკოლა ხელს უწყობს სკოლაში დასაქმებული პირების კარიერულ ზრდას. ახდენს ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას, ხელს უწყობს პედაგოგებს გაიარონ ტრენინგები და აიმაღლონ კვალიფიკაცია და სტატუსი.მასწავლებელთა კარიერულ ზრდაში ხელშეწყობა ჩანს იქიდანაც, რომ სკოლას ჰყავს 10 წამყვანი პედაგოგი, სკოლამ წარადგინა მასწავლებელი მენტორის სტატუსის მოსაპოვებლად და მიიღო ეს სტატუსი.სკოლის ბუღალტერმა გაიარა ტრენინგები, რომელიც დაფინანსდა სკოლის ბიუჯეტიდან: ,,ინვენტარიზაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩატარების,ქონების ჩამოწერის პროცედურები:; „საგადასახადო კანონმდებლობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში“; ,, შესყიდვები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის“. სკოლამ სპეც მასწავლებლებს შეუძლიან მეთოდური ლიტერატურა.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების პოლიტიკის მართვის დოკუმენტით განსაზღვრულია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი,სოციალიზაცია, კერძოდ ჩამოყალიბებულია ადაპტაციის მნიშვნელობა და ის ეტაპები რაც უნდა გაიაროს თანამშრომელმა მისი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის მიზნით. ყოველ ახალ თანამშრომელს სკოლა აცნობს სკოლის შინაგანაწესს და ეხმარება ადაპტაციის პროცესში.განსაკუთრებული წვლილი ამ პროცესში კათედრებს აქვთ, ძირითადად კათედრაზე ხდება თანამშრომლობა. სკოლაში ყველა თანამშრომელს თანაბარი შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს სკოლის რესურსით.სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. სკოლაში წახალისებულია პერსონალის ინციატივები,რაც დასტურდება ადგილზე გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი სხადასხვა სახის სერტიფიკატით თუ მადლობის სიგელით,ასევე სკოლა აქტიურად არის ჩართული სხადასხვა სახის პროექტში. წახალისების მექანიზმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესსა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. განხორციელებულ ღონისძიებებს, პროექტებს სკოლა აქვეყნებს სოციალურ ქსელში და საჯაროდ უცხადებს მადლობას იდეის,პროექტის ავტორებს.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის ბრძანება ხარისხის მართვაზე პასუხიმგებელი პირის დანიშვნის შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- ,,სტრუქტურული ერთეულების/პირების აღმწერი დოკუმენტი“
- სკოლის შინაგანაწესი
- ხელშეკრულება მასწავლებელთან
- გასაუბრება მასწავლებლებთან
- კოლეგებთან სამუშაო შეხვედრის ოქმი
- პერსონალის პირადი საქმეები/სერტიფიკატები/ცნობები

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი,(რომელიც სკოლამ ვიზიტზე წარმოადგინა ) სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, ,,სტრუქტურული ერთეულების/პირების აღმწერი დოკუმენტი",ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება. საგანმანათლებლო საქმიანობა ითვალისწინებს ციკლს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე". სკოლა სხვადასხვა მიმართულებით ახროციელებს მონიტორინგს,(გაკვეთილებზე დასწრება, შემაჯამებლების კვლევა, მოსწავლეთა შედეგების დიაგნისტირება და ა.შ) მონიტორინგის შედეგებს იყენებს შემდგომი განვითარებისათვის.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის წარმომადგენლობასთან გასაუბრებისას და სხვადასხვა დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, სკოლას ესმის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების არსი. აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტში: სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოადგენს სასწავლო პროცესის ძირითად ღერძს, რომელიც აანალიზებს სწავლასწავლების ხარისხის შეფასებასა და მონიტორინგს. ასევე მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს სასკოლო საზოგადოება მოსწავლეთა თვითმმართველობა. აღნიშნულია ,,სტრუქტურული ერთეულების/პირების აღმწერ დოკუმენტში" ძირითადი პროცესი - საგანმანთლებლო პროცესი - ნაწილობრივ აღწერილია სკოლის შინაგანაწესში. სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლის ადაპტაციისა და რემედიაციის წესი. შინაგანაწესი და ხელშეკრულებები აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის წარმოშობას.სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია და თავად კურიკულუმი აღწერს სწავლა-სწავლების ძირითად პროცესს. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით საგაკვეთილო პროცესში შეტანილია არჩევითი საგნები. სწავლა სწავლების პროცესის ამაღლებისა და სრულყოფისათვის სკოლაში ხორციელდება არაფორმალური განათლების ხელშეწყობა (სამოქალაქო კლუბი, ეკოკლუბი, მემორანდუმები)

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. სკოლაში მოქმედებს „გასაჩივრების პროცედურები". დოკუმენტი დამტკიცებულია და განსაზღვრავს განცხადებისა და საჩივრის განხილვის პრინციპებს, წარდგენის წესს, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესებსა და ვადებს. განხილვაზე უფლებამოსილია შესაბამისი პირი/სტრუქტურული ერთეული/კომისია, რომლის კომპეტენციასაც მიეკუთვნება საჩივარზე პასუხის გაცემა.ასევე სკოლის შინაგანაწესში დეტალურად არის აღწერილი დისციპლინური გადაცდომის სახეები თითოეული რგოლისთვის და მასზე რეაგირების მექანიზმები.ასევე ყველა ტიპის ხელშეკრულებაში მოცემულია გასაჩივრების პროცედურა.ამ პროცესის უზრუნველყოფას ხელს უწყობს დისციპლინური კომიტეტი.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, სადაც გაწერილია მათი უფლებები და მოვალეობები. ასევე სკოლა ხელშეკრულებებს აფორმებს მოსწავლეთა მშობლებთან ან კანონიერ წარმომადგენლებთან,მაქსიმალურად დაცულია სკოლის თემის უფლებები და თავისუფლებები კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის შინაგაგაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე და გათავსებულია ვებ. გვერდზე. სკოლას შემუშვებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის წესი, კომუნიკაციის სტრატეგია, რომელშიც მკაფიოდ არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- გასაჩივრების პროცედურები
- სკოლის შინაგანაწესი
- მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება
- დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი(თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა)
- მასწავლებლებთან გასაუბრება
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუსავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას არეგულირებს სკოლის Facbook გვერდით, სკოლის საინფორმაციო დაფის, მშობელთა კრების და ასევე საჭიროების შემთხვევაში სასკოლო საზოგადოების წევრებთან ინდივიდუალური შეხვედრების საშუალებით, სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია სადამრიგებლო პროგრამა-დამრიგებლის მოვალეობები, რომელთაგან ერთ-ერთია მშობელთან კომუნიკაცია, სკოლას აქვს ვებ გვერდი htpp://skolebi.emis.ge, სადაც განთავსებულია სხვადასხვა ინფორმაცია. სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტიცებული აქვს მოსწავლის მშობლის ინფორმირების წესი, რომელიც არეგულირებს მშობლის სკოლაში გამოცხადების წესს, მშობელთან კომუნიკაციის სტრატეგიას, ურთიერთობის ფორმებსა და პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობას სამეურვეო საბჭოს,პედაგოგიური საბჭოს, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭოსა და მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოების წევრთა თავისუფალი და კონკურენტუნარიანი არჩევნების ჩატარებით.მათი უფლებამოსილების ფარგლებში მონაწილეობენ მართვის პროცესებში.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მოსწავლის მშობლის ინფორმირების წესი;
- დისცილინური კომიტეტის სხდომის ოქმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასკოლო სასწავლო გეგმა/კურიკულუმი 2023-24;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- მშობელთა კრების ოქმი
- მშობელთან ურთიერთბის სტრატეგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა ქმნის პირობებს უსაფრთხო და პიროვნების თავისუფალ განვითარებაზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს უზრუნველსაყოფად.სკოლას დამტკიცებული აქვს რიგი დოკუმენტებისა: უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ; ადამიანისა და პროცესების უსაფრთოხების პოლიტიკის შესახებ; გასაჩივრების პროცედურების შესახებ; პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ;სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი; რეფერირების პროცედურებზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ.

- სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვისათვის სკოლაში უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობა. სკოლას აქვს სამედიცინო კაბინეტი (განთავსებულია შენობის პირველ სართულზე და მოწყობილია ერთობლივი ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად). სკოლაში დასაქმებულია ერთი კვალიფიციური ექიმი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ 2022 წლის 21 მარტი მუხლი 3. სამედიცინო კაბინეტის მოწყობისადმი- სამედიცინო კაბინეტში არ არის ხელსაბანი, რომელიც მუდმივად იქნება აღჭურვილი თხევადი საპნითა და ხელის გასამშრამებელი ერთჯერადი საშუალებებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით. გარე პერიმეტრზე 8 კამერა, შიგა პერიმეტრზე - 4. სკოლას ჰყავს 24 საათის განმავლობაში დარაჯი. ფიზიკური უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგი დაცვის მექანიზმების გასაუმჯობესებლად სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომლის მთავარი ფუნქციაა დირექტორისთვის ამ მიმართულებით რეკომენდაციების მიცემა. სკოლას არ ჰყავს მანდატური, ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც გადამზადებულია შესაბამისი სამსახურის მიერ და მონიშნულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ესქულში.
- სკოლას ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრული აქვს საევაკუაციო გეგმა. სკოლაში, სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკური უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შინაგანაწესით და ფუნქციური პასუხისმგებლობის გადანაწილებით. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.სკოლამ წარმოადგინა სახანძრო სიგნალიზაციის შემოწმების აქტი, მაგრამ სკოლას არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და არც გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ;
- სკოლაში დამონტაჟებულია ლიფტი, სკოლას აქვს დამტკიცებული წესის სახით: ძირითადი მოთხოვნები ადამიანის ჯანმრთელობისა და საფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად ლიფტისა და უსაფრთხოების კომპონენტების და პროექტებისა და წარმოების დროს.
- სკოლას წარმოდგენილი აქვს საინჟინრო გეოლოგიური პირობების შემოწმების აქტი, დადებითი დასკვნა და რეკომენდაციები,(დამკვეთი, განმცხადებელი- ამხანაგობა- შპს ,,ინ-სი‘‘; და შპს ,,ქალაქპროექტი‘‘ შედგენილია ინჟინერ- ჰიდროგეოლოგის მიერ- გ. რუსტამოვი),მაგრამ სკოლას არ აქვს შენობის შესახებ მდგრადობის დასკვნა.
- სკოლაში შექმნილია საგანგებო შტაბი, რომელიც პასუხისმგებელია საგანგებო სიტუაციების მართვისა და სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების განხორციელებაზე, მაგრამ სკოლას არ აქვს საგანგებო სიტუაციების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის ორგანოსთან. სკოლას აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების შესახებ გაგზავნილი წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. წერილი ვიზიტის პერიოდში გაგზავნილია რესურცენტრში,(19/10.2023) რათა მოხდეს გადამისამართება შესაბამის სამსახურთან.

**ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული**

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც:**

ა) სამედიცინო კაბინეტში ხელსაბანის მოწყობას უზრუნველყოფს 2023 წლის 20 დეკემბრამდე;

ბ) შენობის მდგრადობის დასკვნის მოპპვებასთან დაკავშირებით გაგზავნილი აქვს წერილი ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში(19.10.2023) და ითხოვს დასკვნის მომზადებას. დასრულების თარიღად მითითებულია 2024 წლის 30 მარტი.

გ) სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული ,,სსიპ ხარაგულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლის საგანგებო მართვის გეგმა“

დ) სკოლა ტექნიკური შემოწმების ფარგლებში აღმოჩენილი ხარვეზების გასწორება და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვების დასრულების თარიღად უთითებს 2024 წლის 19 სექტემბერს.

**შედეგად ინდიკატორი შეფასდა მეტწილ შესაბამისად.**

რჩევა- სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლის ტერიტორიაზე დამონტაჟებულია 12 ვიდეო-სათვათვალო კამერა(8 შიგა პერიმეტრზე, 4 გარე) მონაცემები. სკოლაში გამოვლენილ ნებისმიერ დარღვევაზე ხორციელდება რეაგირება. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დარღვევების სახეები და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები/დისციპლინარული სახდელები.ადგილზე ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა პროცესების და ადამიანთა უსაფრთხოების დაცვის დოკუმენტი,სადაც გაწერილია პასუხისმგებლობები,ინფორმირებულობის სახეები,აქტივობები და მექანიზმები,რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც პროცესების ისე ადამიანების უსაფრთხოებას.... საკლასო ოთახებში და დერეფანში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი და კლასის ხელმძღვანელი. სკოლაში მოქმედებს თამბაქოს მოხმარების აკრძალვის წესი.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია......**

3. ...სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას, სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ემოციური მხარდაჭერის სისტემა. კერძოდ, „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილების შესაბამისად, სკოლაში განსაზღვრულია რეფერირების განხორციელების პროცედურები. კლასის ხელმძღვანელები ყურადღებით აკვირდებიან ბავშვთა საჭიროებებს. სკოლის თითოეული თანამშრომელი ინფორმირებულია ძალადობის ნიშნების ამოცნობის გზებზე და რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირისათვის ინფორმაციის მიწოდების თაობაზე. კლასის ხელმძღვანელთა მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ურთიერთდამოკიდებულებას. სკოლაში ტარდება პრეზენტაციები, კლასის საათები ბულინგის, ძალადობის, უფლებების თემატიკაზე.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**4.** სკოლის შენობა არის ახლადგარემონტებული. ვიზიტის პერიოდში მაქსიმალურად იყო დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლას გააჩნია რესურსი, რათა დაიცვას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. გარდა ამისა დირექტორის
ბრძანებით დამტკიცებულია სკოლასი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი და პროცესურები.
შემუშავებულია მონიტორინგის ფორმები. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა სისტემატურად
ახორციელებს მონიტორინგს. იდეალურად დასუფთავებულია სკოლის ეზო და მიმდებარე ტერიტორია, რომელიც დიდი მოცულობისაა.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.საჭიროების შემთხვევაში, სასკოლო აქტივობების ამსახველი ფოტოებისა და ვიდეოების გასაჯაროებამდე ხდება მშობელთა თანხმობის მოპოვება. შემუშავებულია სპეციალური ფორმა.ხელშეკრულებას ახლავს და მშობელი ხელმოწერით ადასტურებს თანხმობას.დამრიგებლები ინდივიდუალურად აცნობენ მშობლებს შვილის წარმატებებს. მოსწავლეებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature]

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: [signatures]

თანამშრომლების პირადი საქმეები ინახება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე და მის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

6. სკოლის პერსონალისა და მოსწავლეთა მონაცემების ნაწილი ინახება სკოლის სივრცეში, კარადებში, რომლების იკეტება და მათზე წვდომა აქვთ მხოლოდ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. ინფორმაცია ასევე ინახება ისეთ ელექტრონული სისტემებში როგორებიცაა ESCHOOL, EFLOW, ელექტრონული ფოსტა და ელექტრონული ჟურნალი. მოცემული სისტემებიდან სხვადასხვა სეგმენტზე წვდომა მხოლოდ ადმინისტრაციის კონკრეტულ წარმომადგენლებსა და პედაგოგებს აქვთ.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

7. სკოლაში ხორციელდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების პერიოდული შეფასება.შექმნილია და ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მიწის ნაკვეთის საინჟინრო გეოლოგიური შემოწმების დასკვნა
- ლიფტის მუშაობის წესი
- თამბაქოს აკრძალვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება
- შინაგანაწესი
- მიწერილობა რესურცენტრთან (საგანგებო სიტაციების მართვის სამსახურთან შუამდგომლობა)
- საქმისწარმოების წესი
- ექიმის ხელშეკრულება
- გასაუბრება მასწავლებლებთან/სკოლის წარმომადგენლებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
*ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლა მდებარეობს სოფელ კიცხში, ახლადშენებულ ორსართულიან სკოლის შენობაში.სკოლას აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (30.11.22) საკადასტრო კოდით N 36.10.35.022. არასასოფლო სამეურნეო ნაკვეთის საერთო ფართი:18177.00კვ.მ. შენობა ნაგებობა საერთო ფართით:1664.5 კვ.მ. სკოლა რეაბილიტირებულია მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაიწყო 2019 წელს და სწავლა განახლდა 2021 წლის სექტემბერში.სკოლაში სულ, პირველ და მეორე სართულებზე 14 საკლასო ოთახია. საკლასო ოთახები აღჭურვილია მერხებით, საკლასო დაფებითა და კარადებით. სკოლას აქვს 150 ინდივიდუალური მერხი.აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოწესრიგებული სველი წერტილები,აგრეთვე ადაპტირებული. სკოლის შენობაში არის ლიფტი, მუშა მდგომარეობაში.

პირველ სართულზე განთავსებულია-5 საკლასო ოთახი, ოთახი ბუფეტისთვის( 2 ოთახი, ერთი სასადილო განყოფლება და ერთი საკვების მოსამზადებლად) რესურს ოთახი, საპურფარეშო პერსონალისთვის, საპირფარეშო მოსწავლეებისთვის( ვაჟები, გოგონები, ადაპტირებული), დამხმარე სველი წერტილი დამლაგებლებისთვის, დარაჯების ოთახი, მანდატურის ოთახი, დირექტორის კაბინეტი, კანცელარია/არქივი, ექიმის კაბინეტი, ლაბორატორიისთვის ოთახი, ინვენტარის შესანახი ოთახი.

მეორე სართულზე- 9 საკლასო ოთახი, სპორტის ოთახი(არა სპორტ დარბაზი)სამასწავლებლო, ლიფტი,სათავსო ოთახი, საპირფარეშო(გოგონებისთვის, ბიჭებისთვის)საპირფარეშო პერსონალისთვის, ბიბლიოთეკა/კომპიუტერული ლაბორატორია.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია ყველასთვის.სკოლის ეზოში მოწყობილია ხელოვნურსაფარიანი ღია სპორტული მოედანი. შიდა სპორტულ დარბაზი-სკოლას არ აქვს. საერთო სარგებლობის სივრცეები - გარე სპორტული მოედანი, სკოლის ფოიე, საჭიროების შემთხვევაში მასპინძლობს არა მხოლოდ სასკოლო, არამედ სათემო აქტივობებსაც. იმართება სხვადასხვა სპორტული, საგანმანათლებლო თუ სახელოვნებო ღონისძიებები.სკოლაში არსებულ ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.ბიბლიოთეკაში წიგნები აღრიცხულია და განლაგებულია თაროებზე კატალოგის მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში, რემონტის პერიოდში გაკეთდა ლაბორატორიისთვის კონკრეტული ოთახი, ერთი თავად საგაკვეთილო პროცესისათვის და მეორე, უფრო მცირე მოცულობის ოთახი მასთან დაკავშირებული ინვენტარისთვის, სკოლა მოცემულ ოთახებს იყენებს სამასწავლებლოსათვის და არ აქვთ გამოყოფილი სივრცე ლაბორატორიისთვის.

ერთ სივრცეშია მოწყობილი კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა, არ არის გამიჯნული ფართი ერთმანეთისაგან.

**ინდიკატორის მოთხოვნები  არ არის დაკმაყოფილებული**

**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც:**

ა)  საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის ცალკე სივრცის უზრუნველყოფის დასრულების თარიღად მითითებულია 2024 წლის 30 იანვარი.

ბ) კომპიუტერული ლაბორატორიისა და ბიბლიოთეკის გამიჯვნის უზრუნველყოფის დასრულების თარიღად მითითებულია 2024 წლის 30 იანვარი

**შედეგად, ინდიკატორი შეფასდა  მეტწილ შესაბამისად.**

3. სკოლა არის სრულად ადაპტირებული. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სასწავლო პროცესში ინკლუზიურ გარემოს. მოსწავლეებს აქვთ ინდივიდუალური სასკოლო მერხები. ფუნქციონირებს ლიფტი, ხოლო  შენობას აქვს სტანდარტების შესაბამისი დახრილობის პანდუსი. სკოლას აქვს მოწესრიგებული, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი,სანიტარიული ნორმების დაცვით დასუფთავებული სველი წერტილები (არის შეზღუდული გადაადგილების მქონე მოსწავლისთვის ადაპტირებული სველი წერტილები).ფუნქციონირებს რესურს ოთახი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით, საჭიროებიდან გამომდინარე პერიოდულად ხდება სასწავლო მასალებით განახლება.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. კერძოდ, სკოლაში არის ფართო და ნათელი დერეფნები. ფოიე, არაჩვეულებრივი ეზო, ღია სპორტული მოედანი. აღნიშნული სივრცეები მრავალფეროვანი სასკოლო ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. როგორც სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ, სკოლაში ხშირად იმართება ღონისძიებები თემის ჩართულობით.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები: კომპიუტერები და ტექნიკური მოწყობილობები, გრიფირებული სახელმძღვანელობი, ასევე მხატვრული ლიტერატურა, სპორტული ინვენტარი და სხვ. საკლასო ოთახები აღჭურვილია შესაბამისი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით მერხების, სკამების, დაფისა და სხვა საჭირო რესურსებით. უზრუნველყოფილია საჭირო რესურსებზე წვდომა.სკოლას აქვს გარე სპორტული მოედანი, შენობაში ერთ ოთახს იყენებს სპორტული აქტივობისთვის, მაგ ჭადრაკის, სამაგიდო თამაშების სათამაშოდ. სკოლა, ფინანსური შესაძლებლობის ფარგლებში, იძენს სასწავლო რესურსებს, რომელიც გადაეცემა შესაბამისი საგნის მასწავლებლებლებს საერთო სარგებლობისათვის. სკოლას საბუნებისმეტყველო ლაბორატორია არ აქვს, სწავლებისათვის საჭირო რესურსები( ცდებისა და ექსპერიმენტებისთვის განკუთვნილი სხვადასხვა ხელსაწყოები. ) გამოიყენება საკლასო ოთახებში შეტანით.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ბიბლიოთეკის დებულება
- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი
- მასწავლებლებთან გასაუბრება
- ინვენტარის მიღება-ჩაბარებები
- მოსწავლეთა ტრანზიციის წესი
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, 30/11/2022
- შენობა ნაგებობის სქემა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა ფლობს პერსონალურ და პორტატულ კომპიუტერებს, კომპიუტერულ ლაბორატორიაში არის 22 კომპიუტერი:11 ლეპტოპი და 11 პერსონალური კომპიუტერი, 4 პროექტორი 6 პრინტერი, სკოლა დაფარულია wifi ქსელით, . ადმინისტრაცია იყენებს საკაბელო ინტერნეტს,კომპიუტერი, ქსეროქსის აპარატი განთავსებულია რესურს ოთახში და დირექციაში. რაც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული პროცესის სრულფასოვან წარმართვას. რაც შეეხება სასწავლო პროცესს, მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ კომპიუტერულ ლაბორატორიაში მოსწავლეებს, მასწავლებლებს აქვთ საშუალება ისარგებლონ ლაბორატორიით, როგორც სასკოლო დროს, ასევე დასვენების დღეებშიც(მაგ ოლიმპიადები, განხორციელებული ღონისძებები)

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2.სკოლის შენობაში მოწყობილი კომპიუტერული ლაბორატორია ასრულებს როგორც კომპიუტერული კლასის, ისე საზიარო სამუშაო სივრცის ფუნქციას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. სკოლამ ადგილზე წარმოადგინა მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, სადაც ხაზგასმულია კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების პროცედურები. ლაბორატორიაში გამოკრულია კომპიუტერებით სარგებლობის განრიგი, რათა პედაგოგებსა და მოსწავლეებს, ადმინისტრაციულ თუ ტექნიკურ პერსონალს გააჩნდეს რესურსებზე თანაბარი წვდომა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კომიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი;
- მიღება-ჩაბარების აქტები;

**3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ინფორმაციის მიღება-გაგზავნა ხორციელდება სკოლის მეილისა და eflow-ს საშუალებით.სკოლას გააჩნია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი.საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია საქმისმწარმოებელი. დოკუმენტვრუნვა მოიცავს სამი სახის დოკუმენტაციას: შემოსული დოკუმენტაცია, გასული დოკუმენტაცია და შიდა დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (EFLOW) საშუალებით. სადაც განთავსებულია დირექტორისა და სკოლის მონაცემები. რომლის საშუალებითაც შემოდის ოფიციალური წერილები, იგზავნება პასუხები, ტარდება განცხადებები, გაიცემა საჭირო დოკუმენტაცია და ა/შ. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eschool)სკოლას აქვს საკუთარი სრულყოფილი პროფილი. ელექტრონული ბაზა, საშტატო განრიგი, როგორც პერსონალის, ასევე მოსწავლეების და მშობლების მონაცემებით. ბაზაში იძებნება ინფორმაცია გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებზე, სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებზე, საათობრივი ბადისა და საგაკვეთილო ცხრილის შესახებ.ესქულში მონიშნული არ იყო შშმ მოსწავლის სტატუსი, სკოლას ვიზიტის დროს მიეცა რჩევა აღნიშნულის გასასწორებლად, რაც სკოლამ გაითვალისწინა.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისას, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან თანამშრომლობით, ურთიერთობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მართვის საინფორმაციო სისტემასთან, ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან, სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან. აწვდის დროულად საჭირო ინფორმაციას, იღებს და გასცემს შესაბამის უკუკავშირს.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საქმისწარმოების წესი
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში
- დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა EFLOW
- ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი
- შემოსული და გასული კორესპონდენცია
- ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ვებ გვერდის (skolebi.emis.ge) სოციალურ ქსელში არსებული სკოლის გვერდის, ელექტრონული ფოსტის, სოციალურ ქსელში შექმნილი საკომუნიკაციო ჯგუფებისა და საინფორმაციო დაფის საშუალებით.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლას აქვს დამტკიცებული საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებასთან ურთიერთობის ვალდებულებებს და განხორციელების გზებს, პასუხისმგებელ პირებს(აღნიშნულლ წესში არის რამდენიმე ტექნიკური ხარვეზი)დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სწორი და დროული ინფორმაციის გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. სკოლა საკუთარ facebook გვერდზე აქვეყნებს მხოლოდ სკოლის ინტერსებიდან გამომდინარე სანდო ინფორმაციას, სკოლის ფილოსოფიაზე მუშაობის პროცესში სკოლამ ჩაატარა გამოითხვა მოსწავლეებსა და მშობლებში და ამ გზით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიიღო უკუკავშირი. სკოლა იყენებს სასკოლო საზოგადოებისაგან მიღებულ უკუკავშირს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, ამის უზრუნველყოფის მექანიზმია დამტკიცებული საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი. ამასთან დამრიგებლების უფლება -მოვალეობებით განსაზღვრულია მშობლებთან კომუნიკაციის ვალდებულება, რის მიხედვითაც ისინი სისტემატიურად აწვდიან ინფორმაციას მშობლებს ინდივიდუალურად.პერიოდულად კი ტარდება მშობელთა კრებები.

**ინდიკატორის მოტხოვნები დაკმაყოფილებულია**

**4.** სკოლას აქვს ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.(skolebi.emis.ge)

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**5.** სკოლის ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, სტრატეგიული გეგმა, წლიური სამოქმედო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი, საკონტაქტ ინფორმაცია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები,გასაჩივრების მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ბრძანება ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;
- Skolebi.emis.ge;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მშობელთა კრების ოქმი;
- გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**

**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის ფიანასური რესურსით უზრუნლყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება,კერძოდ სკოლის დაფინანსების წყაროა ვაუჩერული დაფინანსება (ამ ეტაპზე იჯარა არ აქვს) სკოლას დაწყებული აქვს სასწავლო პროცესისგან თავისუფალი ფართის გაიჯარების პროცესი.კერძოდ, აქვს გასაიჯარებელ ფართზე აუდიტის დასკვნა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და ფართის გაიჯარებაზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობა.სკოლის დირექტორი, კანონმდებლობის დაცვით წარადგენს ფინანსურ ანგარიშს სამეურვეო საბჭოსა დამაკონტროლებელი ორგანოების წინაშე.სკოლამ ადგილზე წარმოადგინა 2023-24 წლის ბიუჯეტი,(იძებნება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში)

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლაში მიმდინარე შემოსავლებისა და გასავლების კონტროლი სისტემატურად მიმდინარეობს, ხდება მონიტორინგის შედეგების დოკუმენტირება. წარმოებს ანგარიში სკოლის ფინანსური საქმიანობის შესახებ.სკოლის დირექტორი, კანონმდებლობის დაცვით წარადგენს ფინანსურ ანგარიშს სამეურვეო საბჭოსა და მაკონტროლებელი ორგანოების წინაშე ყოველი წლის ნოემბრის 20 რიცხვამდე -დგება მომავალი წლის შესყიდვების გეგმა. შესყიდვების გეგმის გათვალისწინებით, არაუგვიანეს 31 დეკემბრისა, დირექტორი წარუდგენს და სამეურვეო საბჭო ამტკიცებს მომავალი წლის ბიუჯეტს. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის ბიუჯეტი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- ფინანსური ანგარიში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- თანხმობა ფართის გაიჯარებაზე;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა. მოქმედებს სკოლის მიერ დადგენილი გასაჩივრების პროცედურები. დოკუმენტი დამტკიცებულია და განსაზღვრავს განცხადებისა და საჩივრის განხილვის პრინციპებს, წარდგენის წესს, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესებსა და ვადებს. განხილვაზე უფლებამოსილია შესაბამისი პირი/სტრუქტურული ერთეული/კომისია, რომლის კომპეტენციასაც მიეკუთვნება საჩივარზე პასუხის გაცემა. ამავე დოკუმენტით რეგულირდება დირექტორის/დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი: გადაწყვეტილების გასაჩივრება ხდება სკოლის სამეურვეო საბჭოში. აგრეთვე, მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი, თანამშრომელთა, მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა და მოსწავლეთა საჩივრების განხილვის წესიშესახებ.აქტიურად ხორციელდება სამოქალაქო განათლების სწავლების ფარგლებში სხვადასხვა პროექტი,კლუბები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის უფლებების დაცვის მიმართულებით ინფორმირებულობის და ამ უფლებების დაცვის გარანტიების უზრუნველყოფას. სასწავლო წლის დასაწყისში ყოველწლიურად ხდება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევა, რომელსაც თავისი წარმომადგენელი ჰყავს სკოლის უმაღლეს კოლეგიალურ ორგანოში სამეურვეო საბჭოში. პირადი საქმეების და მართვის საინფორმაციო სისტემის დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მოსწავლის სტატუსის შეჩერებას/აღდგენას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციები გამჭირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ სკოლის დერეფნებში, საკლასო ოთახებში  გაკრულია მოსწავლის ქცევის წესები, ასევე საჯაროა სკოლის შინაგანაწესი, სკოლის მიერ დადგენილი გასაჩივრების პროცედურები, სკოლაში ფუნქციონირებს ეკო კლუბი ,,მწვანე ხელები" და სამოქალაქო განათლების კლუბი.დამრიგებლო საათის ფარგლებში სკოლაში მიმდინარეობს მოსწავლის უფლებების გაცნობა და ამ უფლებების დაცვის საკითხებზე მსჯელობა. შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა წლის დასაწყისში ეცნობება მშობლებს და მოსწავლეებს. სკოლაში არის არჩეული დისციპლინარული საბჭო, რაიმე სახის დისციპლინარული სახის დარღვევის შემთხვევაში მოსწავლე ინფორმირებულია, რომ მას აქვს გასაჩივრების უფლება.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. ყველა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება,რომელშიც დეტალურად არის გაწერილი ორივე მხარის უფლება-მოვალეობები.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შინაგანაწესი;
- გასაჩივრების პროცედურები;
- ბრძანებები
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მშობელთა კრების ოქმი
- გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან
- ვებ.გვერდი

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს „მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის წესი“. დოკუმენტით განსაზღვრავს მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის, მობილობის განხორციელების წესსა და პროცედურებს. აგრეთვე, მოსწავლის უფლება მოვალეობებს და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია საფეხურის დაძლევის წესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლაში მოქმედებს „მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის მექანიზმი“. დოკუმენტით განსაზღვრავს მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის, მობილობის განხორციელების წესსა და პროცედურებს. აგრეთვე, მოსწავლის უფლება მოვალეობებს და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან, ისინი დამრიგებლების მხრიდან მუდამ ინფორმირებულნი არიან სკოლის სხვადასხვა მომსახურების შესახებ. სკოლაში, მეხუთე კლასიდან, მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია მეორე უცხო ენა, მიმდინარე წელს სკოლამ შესთავაზა რუსული და გერმანული ენები, მოსწავლეებმა და მშობლებმა არჩევანი გააკეთეს რუსულ ენაზე.საინფორმაციო დაფაზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის სტურქტურული ერთეულებისა და არსებული მოსწავლეთა კლუბების შესახებ.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი, რომლის ვალდებულებაა კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებადი და არადისკრიმინაციული ინფორმაციის გავრცელება.აგრეთვე სკოლაში მოქმედებს საზოგადოებასთან ურთიერთიბის/კომუნიკაციის წესი, რომელიც ყველა დასაქმებულს ავალდებულებს ზუსტი და გადამოწმებული ინფორმაცია გაავრცელოს, აწარმოოს კომუნიკაცია სკოლის შიგნით, და ასევე მის გარეთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იმგვარად, რომ დაცული იყოს ინფორმაციის სინამდვილე და გონივრულობა.სკოლა მცირეონტიგენტიანია და დამრიგებლები პირადად ურეკავენ ყველა მშობელს ახალი, საჭირო ინფორმაციის გავრცელების მიზნით.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთა კრების ოქმი
- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი
- მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის წესი
- ჩარიცხვის, საფეხურის, კლასის დამლევის ბრძანებები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მოსწავლეთა პირადი საქმეები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

### 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

#### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას დამტკიცებული მოსწავლეთა ტრანზიციის მექანიზმი, რომლის მიზანია: სკოლის მიერ პირველკლასელთა ადაპტაციის ხელშეწყობა, სსსმ მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაცია, საფეხურიდან საფეხურზე გადამსვლელ მოსწაველთა ადაპტაცია, განსხვავებული კულტურის მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერა, მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა ადაპტაციის მხარდაჭერა.სკოლის წარმომადგენლები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ ყოველწლიურად აწყობენ ბაღის მოსწავლეებთან შეხვედრებს, მომავალი პირველკლასელები მოჰყავთ სკოლიდან და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ათვალიერებინებენ სასკოლო გარემოს.აგრეთვე სასკოლო საწავლო გეგმაში გაწერილია სასკოლო პროექტები, რომელთა განხორციელებაც, ასევევ მოსწავლის სრულფასოვან ადაპტაციას ემსახურება.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ მობილობით ჩარიცხულ მოსწავლეს დამრიგებელი წარუდგენს კლასსა და მასწავლებლებს, აცნობს სკოლის შინაგანაწესსა და გარემოს. სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში მიმდინარე მუშაობა აგრეთვე, უზრუნველყოფს მოსწავლის ადაპტაციას.მომავალი პირველკლასელების მშობლებთან ეწყობა შეხვედრები, რა დროსაც ხდება მათი ინფორმირება. დამრიგებლები მოიპოვებენ ინფორმაციას მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სკოლას შემუშავებული აქვს რემედიაციის მექანიზმი,სასკოლო გეგმაში გაწერილი დამრიგებლის მოვალეობები ავალებს მას, მოსწავლეს და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სისტემატიურად გააცნოს მოსწავლის აკადემიური მიღწევები.საგნის მასწავლებლებიდან მიიღოს და მშობლებს მიაწოდოს ინფორმაცია. იმ შემთხვევაში თუ მოსწავლეს სჭირდება მხარდაჭერა,აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად სკოლა მას სთავაზობს დამატებით კონსულტაციებს, მეცადინეობებს, მოსწავლესთან საკომუნიკაციოდ იყენებენ teams-ის პლატფორმას,.messenger ჯგუფებს ან სატელეფონო კომუნიკაციას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლის წარმომადგენლობასთან გასაუბრებისას დასტურდება, რომ მოსწავლის მშობლის მიერ მოთხოვნილი განცხადებების საფუძველზე, ხდება დროული რეაგირება. მაგალითად ხელშეკრულების გაფორმება, მოთხოვნის საფუძველზე მოსწავლის მშობლისათვის მოსწავლის ცნობის ან დახასიათების მომზადება,მშობელთა კრებაზე დამრიგებელი აცნობს მშობლებს სკოლის შინაგანაწესს, სასკოლო კალენდარს, სკოლის შეფასების სისტემას, ბავშვის უფლება-მოვალეობებს, კლასის საათის თემატიკას, შინ სწავლების მექანიზმებს, არჩევით საგნების ჩამონათვალს, სასკოლო რესურსების სარგებლობის მექანიზმებს.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. სკოლას აქვს არაფორმალური განათლების მიმართულებით წარმატებული დამკვიდრებული პრაქტიკა, როგორც გასაუბრებისას ირკვევა, მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიურობით არაერთი პროექტი და პრეზენტაცია გაიმართა.სკოლაში შექმნილია სამოქალაქო განათლებისა და ეკოკლუბი „მწვანე ხელები“,
   - კლუბების ინიციატივით ტარდება სპორტული ჩემპიონატები,ინტელექტუალური თამაშები მოსწავლეები ჩართულები არიან საერთაშორისო პროექტებში
   - 2023 წლის მეორე სემესტრში სკოლის მოსწავლები ჩართული იყვნენ e-Tvininge--ის პლატფორმაზე სადაც მიიღეს მონაწილეობა პროექტში“ჯანსაღი ცხოვრების წესი“წარადგინეს პრეზენტაციები, შემდეგ ეს პრეზენტაციები სასკოლო დონეზე გაუზიარეს თავიანთ თანატოლებს.
   - ეკოკლუბი“მწვანე ხელები“ რამდენიმე წელია ზედიზედ არის ნიკო კეცხოველის პრემიის მე 2-ადგილის მფლბელი რესპუბლიკის მასშტაბით, სწორედ „მწვანე ხელებმა“ მოუტანა სკოლას 6000 ლარიანი გრანტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

,რომლითაც სკოლის ეზოს რეკრეაციული ზონისთვის სკოლამ შეიძინა უმაღლესი ხარისხის 6 ცალი ეზოს გრძელი სკამი და დიდი ხის ლამინირებული მაგიდა თავისი გრძელი სკამებით.

- ასევე სკოლა ჩართულია ეკოსკოლების პროგრამაში, პროექტ „დავასუფთაოთ საქართველო", საეთაშორისო პროექტში, რომელიც ხორციელდება შვედეთის ფინანსური მხარდაჭერით.სკოლის სამოქალაქო კლუბი ჩართულია USAID-ის სამოქალაქო განათლების ხუთწლიან პროექტში,რომლის ფარგლებში სკოლამ მოიგო მცირეფასიანი გრანტი,რომლითაც ასევე სკოლის სამოქალაქო კლუბის მიერ გაგზავნილი პროექტი სასწავლო წლის ბოლოსათვის დაფინანსდა სკოლისთვის ტექნიკის შესაძენად.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

6. სკოლის წარმომადგენლობასთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ნებისმიერი პროექტის თუ აქტივობის განხორციელების შემდეგ სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა თუ დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირს, რომელიც შეიძლება მოწოდებული იქნას, როგორც ზეპირად, ასევე სოციალურ ქსელში შექმნილ ჯგუფებში ან გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დატოვებული კომენტარის სახით ან კიდევ პირისპირ შეხვედრებზე.ამ უკუკავშირების გათვალისწინებით სკოლა ცდილობს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ტრანზიციის მექანიზმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- რემედაიციის მექანიზმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- თვითმმართველობის დებულება
- კლუბის დებულება
- დამრიგებლის ანგარიში.
- .სამოქალაქო კლუბის წესდება
- პროექტი ჯანსაღი ცხოვრების წესი.

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას პროფესიული განათლების გაძლიერება ასახული აქვს მისიაში, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში,ცდილობს ამ მიმართულებით გააქტიურებას. კლასის საათებზე დამრიგებლები ატარებენ სხვადასხვა პროფესიების შესახებ საუბარს.სკოლა ვიზიტით იმყოფებოდა ზესტაფონის სამშენებლო კოლეჯ ,,კონსტრუქტორ2"-ში ჩატარდა სამდღიანი ტრენინგი. კოლეჯის მასწავლებლებმა სკოლის საბაზო საფეხურის მოსწავლეებს დაათვალიერებინეს კოლეჯი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩაუტარეს მასტერ-კლასი და ის სამი დღე მოსწავლეებმა იცხოვრეს კოლეჯის ცხოვრებით. კოლეჯში სტუმრობის შემდეგ რამდენიმე მოსწავლემ გამოთქვა სურვილი იქ სწავლის გაგრძელების.

ასევე სკოლამ გააფორმა მემორანდუმი ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტთან, პროფესიული ორიენტაციის განხრით. სკოლის უშუალო მონაწილეობით შეირჩა სასერტიფიკაციო პროგრამა ,,შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა" აღნიშნული მიმდინარე წელს ხორციელდება სკოლაში.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა სისტემატურად აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს სხვადასხვა უნივერსიტეტსა და პროფესიულ სასწავლებელში დაგეგმილი ღია კარის დღეების შესახებ. საბაზო და საშუალო საფეხურის დამამათავრებელ კლასებში დამრიგებლები აწვდიან მოსწავლეებს შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ.სოციალურ გვერდზე ტვირთავენ ინფორმაციას, სკოლაში და თემში დაარიგეს კოლეჯიდან წამოღებული ბუკლეტები.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. სკოლა მუდმივად იღებს უკუკავშირს საკუთარი მოსწავლეებისაგან, მშობლებისგან. უკუკავშირის ფორმაა შეხვედრები დამრიგებლის საათზე, teams-ის პლატფორმა. მშობელთა კრებები.ვინაიდან უკუკავშირი მაინც ზეპირი ფორმით მიირება რჩევა იქნება სკოლისათვის: <u>შეიმუშაოს მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების კვლევისათვის საჭირო ინფორმაციის მოპოვების მეთოდებსა და</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინსტრუმენტებს. მონაცემთა ანალიზის საფუძველზე შეფასდება, თუ რამდენად დაეხმარა მოსწავლეს სკოლა მისი უნარების და ინტერესების შესაბამისი არჩევანის გაკეთებაში და რა უნდა გაითვალისწინოს შემდგომში მოსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მემორანდუმები;
- კონსტრუქტორ2'-ის წერილი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას ჰყავს სსსმ მომსწავლეები, 1 სპეციალური მასწავლებელი და 1 ასისტენტი, შემუშავებული და დამტკიცებულია საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, შემუშავებულია ინკლუზიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების სამოქმედო გეგმა, მტკიცდება ისგ ჯგუფები და დგება შესაბამისი ოქმები, ადგილზე ინახა 2022-23 სასწ წლის ანგარიში, რესურს ოთახით სარგებლობის განრიგი, უკვე შემუშავებული ისგ-ები, მესამე თაობის ესგ-ზე მორგებული.სკოლაში წარმოებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგი დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

1 მოსწავლე არის შშმ, მასზე არ არის ელექტრონული მართვის საინფორმაციო სისტემაში მონიშნეული შესაბამისი სტატუსი. 2 მოსწავლე სარგებლობს ალტერნატიული სასწავლო გეგმით და არიან შინ სწავლებაზე. მოსწავლეთა დასკვნების დათვალიერების საფუძველზე ერთი მოსწავლის დასკვნაში წერია რომ საჭიროებს შინ სწავლებას, რომლისთვისაც სკოლას არ აქვს შემუშავებული ცხრილი, არ ატარებს მისთვის საათობრივი ბადით გათვალისწინებულ გაკვეთილებს(ყველა საგანში მინიმუმ 1 გაკვეთილი კვირაში გარდა სპორტისა) მეორე მოსწავლე, რომელიც სკოლაში არ დადის სკოლის მიერ შედგენილი, შიდა ოქმის საფუძველზე.

**ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული**

<u>**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა,** რომლის მიხედვითაც " შინ სწავლების განსაზღვრის მექნიზმის“ შემუშავების დასრულების თარიღად განსაზღვრავს 2023 წლის 20 დეკემბერს.</u>

<u>**შედეგად, ინდიკატორი შეფასდა მეტწილ შესაბამისად.**</u>

2. ვიზიტის პერიოდში ჩატარებული გასაუბრებით გამოვლინდა, რომ სსსმ მოსწავლის მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობასა და თანამშრომლობის პრინციპებს.სპეც მასწავლებლების საქმიანობის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ისგ ჯგუფის შეხვედრის შემდეგ საგნის მასწავლებელი განსაზღვრავს მოსწავლის აქტუალურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დონეს, შეადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და მოსწავლის შესაძლებლობისა და უნარების გათვალისწინებით გაწერს მოკლევადიან და გრძელვადიან მიზნებს, ხდება რესურსების მოძიება, აქტივობების შერჩევა და საკოლო დავალებების ადაპტირება. სკოლაში გამართულ ღონისძიებებში სსსმ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა
- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება
- ისგ-ები
- ტრანზიციის მექანიზმი
- სსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა
- ისგ ჯგუფის ოქმები
- გასაუბრება მასწავლებლებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა სარგებლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამით. ამ მომსახურების განხორცილების პროცესში სკოლა მონიტორინგს უწევს მოსწავლეთა გადაადგილებას. მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი. სკოლამ წარმოადგინა ტრანსპორტირების ტაბელები, მძღოლებისა და სატრანსპორტო საშუალებათა დოკუმენტაცია. ამ ეტაპზე, სხვა, დამატებითი  არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ ხორციელდება.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლის შენობაში არის სივრცე ბუფეტისთვის, რომლის იჯარის გაცემით ნებართვა ახალი მიღებული გვაქვს. მაგრამ ჯერჯერობით ფართი გაიჯარებული არ არის. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს რაიმე სახის დამატებითი არასავლდებულო ხასიათის მომსახურეობა.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს რაიმე სახის დამატებითი არასავლდებულო ხასიათის მომსახურეობა.სკოლა აცხადებს მზაობას, არსებონის შემთხვევაში, დამატებითი მომსახურება განხორციელდეს უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვითა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალიწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ტრანსპორტის მომსახურების ტაბელები
- ნებართვა ბუფეტის იჯარაზე

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში, ,,სკოლის კურიკულუმი(შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია)“ წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული მხარეების შესაძლებლობის შესახებ ვალდებულება და ეფუძნება კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების შემდეგ პრინციპს: „კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს.“ - ვკითხულობთ დოკუმენტში, რაც ადასტურებს რომ კურიკულუმის მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების და პრიორიტეტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინების შესაძლებლობას. ამ შესაძლებლობის რეალურად განხორციელების დასტურად კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში აქტიურად ვიყავით ჩართულები როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლები, ასევე პედაგოგები. კლასის დამრიგებლებთან თანამშრომლობით კი ხორციელდებოდა მშობლებთან და მოსწავლეებთან სამუშაო შეხვედრები. ამ შეხვედრებზე განიხილებოდა კურიკულუმის პროექტი, რომლის დროსაც ვითვალისწინებდით მათ ინტერესებს, შესაძლებლობებს და პრიორიტეტებს, რომლის უფლებაც განსაზღვრული გვქონდა დოკუმენტით „სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია)". მნიშვნელოვანია რომ სკოლაში, სხვადასხვა კათედრის წევრები გამოხატავენ მზაობას მომავალ წლებშიც კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნება სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ინტერესები და პრიორიტეტები.

**ინდიკატორის მოთხვნები დაკმაყოფილებულია**

2. საგნობრივი ექსპერტები ადასტურებენ, სასკოლო კურიკულუმში, რომელიც სკოლამ წარმოადგინა, წარმოდგენილია და კათედრის წევრებთან გასაუბრების დროსაც დადასტურდა, რომ მასში გათალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. განსაკუთრებით გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები, სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია, თუ როგორ (რა საშუალებებით) ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. კათედრებზე კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედის წევრებთან თანამშრომლობით, განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით.სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფეხურის კურიკულუმებში შერჩეული მრავალფეროვანი სასწავლო პრაქტიკული და თეორიული შინაარსის თემებით გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, მათი შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებები.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლები ერთობლივად მუშაობდნენ კურიკულუმის შექმნაზე, მუშაობის დროს ითვალისწინებდნენ გასული წლების შედეგებს და გამოცდილებას. კურიკულუმის შემუშავების პროცესი აღწერილია დაწყებითი კათედრის სხდომის ოქმში. ინტერვიუდან ირკვევა, რომ კომპლექსური დავალებების შერჩევისას, კათედრის თითოეულმა წევრმა მიიღო მონაწილეობა, გარდა ამისა, გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ინტერესები და მზაობა.კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულიბას ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტები, სასკოლო სასწავლო გეგმა შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან, ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო და დირექტორი. კურიკულუმების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას ადასტურებს აგრეთვე პედსაბჭოს, სამეურვეო საბჭოს , კათედრის სხდომის ოქმებიც.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. კურიკულუმების გაზიარება ხორციელდება როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალურად; სკოლაში საინფორმაციო დაფაზე, საკლასო ოთახში, სხვადასხვა სამუშაო შეხვედრებზე, სკოლის Facebook-ის გვერდზე. მშობლებთან გაზიარება ხორციელდება აგრეთვე „მშობლის ბარათები" -ის საშუალებით. ასევე ვიყენებთ teams პლატფორმას და ელექტრონული ფოსტას, აღნიშნეს კათედრის წევრებმა ექსპერტებთან გასაუბრების დროს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოების მხრიდან უკუკავშირის მისაღებად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა ზეპირი/სიტყვიერი ფორმა. გასაუბრების დროს აგრეთვე გამოიკვეთა, რომ შექმნილი კურიკულუმების (1-6 კლასის კურიკულუმები ) ფარგლებში დაგეგმილი ფესტივალები, არაფორმალური განათლებისა და საერთო სასკოლო აქტივობებში ჩართულობის შესახებ ინფორმაციას იზიარებს სასკოლო საზოგადოებაც.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა (2022-2023 და 2023-2024 სასწავლო წლების),
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- მშობლის ინფორმირების წესი;
- ინტერვიუ მასწავლებელთან
- მშობელთა კრების ოქმი,
- დაწყებითი კათედრის ოქმი;
- Facebook გვერდის მისამართი;
- დამრიგებლის ანგარიში დანართი N3
- გასასვლელი ბარათი
- მშობელთან ურთიერთობის დებულების კომუნიკაციის დამტკიცების შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჯგუფი;
- სტრატეგიული დანერგვის მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული ჯგუფის ოქმი;
- სკოლის-განვითარების-სტრატეგიული-გეგმა-საბოლოო;
- ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა.

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და მიმართულია საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. რაც მთავარია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესიის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც შუალედური მიზანზე გასვლით, ემსახურება გრძელვადიანი მიზანზე გასვლას და  აგებულია მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესებიდან გამომდინარე.სასწავლო პროცესის დაგეგმვისას  გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის მზაობა, შესაძლებლობები, უნარები  და ინტერესები, რაც დასტურია იმისა, რომ  შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. ექსპერტები ადასტურებენ, რომ სკოლის მიერ შემუშავებული  და დამტკიცებული საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, საგნებში უმეტესწილად სწორადაა განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები.  შერჩეული კომპლექსური დავალებების დამუშავება შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეს განუვითარდეს ფუნქციურ-კომპონენტური უნარები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, როგორ შეიძლება  ამ უნარების განვითარება კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შედეგად.  განსაზღვრულია კომპლექსური  დავალებების იდეები.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სკოლას გააზრებული აქვს შემდეგი: სასწავლო პროცესისათვის მნიშვნელოვანია ინკლუზიური მიდგომები, რომელიც გათვალისწინებულია სწავლა-სწავლებისადმი დიფერენცირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიდგომებით, მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობებით, საჭიროებებით და სწავლისადმი დამოკიდებულებებით. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ -ინკლუზიურ მიდგომებს, კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი , რომ ყველა შესაძლებლობის, მზაობისა და ინტერესის მქონე მოსწავლემ შეძლოს მასში ჩართვა და მუშაობა. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება, თითეული მათგანისათვის შემუშავებულია ისგ. მე-4 კლასელი სსსმ მოსწავლისთვის პედაგოგებს შექმნილი აქვთ მრავალფეროვანი რესურსები და კომპლექსური დავალების ადაპტირებული პროდუქტი მოსწავლის შესაძლებლობებიდან გამომდინარე. (მაგ., კომპლექსური დავალება „დღის რეჟიმი“, რომლის ფარგლებში სსსმ მოსწავლემ მოახერხა თანმიმდევრობით გამოესახა ნახატებით მისი ერთი ჩვეულებრივი დღე). მომავალში გეგმავენ გააძლიერონ სკოლაში დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტები, რაც ხელს შეუწყობს დიფერენცირებული მიდგომების რეგულარულ გამოყენებას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელთა გაანალიზებისას დასტურდება, რომ შეფასება ეყრდნობა სტანდარტის მკვიდრ წარმოდგენებსა და შედეგებს და მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. განმავითარებელი კომენტარით აღწერთ, მოსწავლეთა განვითარების დინამიკას, ხოლო განმსაზღრვრელი შეფასებით საგნობრივი სტანდარტის შედეგის მიღწევის დონეს. კათედრის წევრებმა გასაუბრების პროცესში გამოხატეს მზაობა, მომავალშიც შექმნან მოსწავლის პროგრესის დიაგნოსტირებისათვის შეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკები, რომელიც განსაზღვრავს მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრესის დიაგნოსტირებას და მნიშვნელოვანია, რომ შეფასების რუბრიკების შედგენა განხორციელდება მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით.განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებად სკოლაში იყენებენ დიახ და არა ბარათებს, შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს, განმავითარებელი შეფასების კომენტარს.

5. ექსპერტების დასკვნით, სხვადასხვა კათედრის წევრებმა აღნიშნეს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ყურადღებას ამახვილებენ წინარე გამოცდილებაზე და ამ გამოცდილების ანალიზზე. კათედრის სხდომებზე ვისმენთ პედაგოგების ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ, ასევე ვიხილავთ შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზებს, რის შედეგადაც იკვეთება როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლეების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. ვღებულობთ დასკვნებსს და მიგნებებს და მათ საფუძველზე შევიმუშავებთ კურიკულუმებს, პროექტებს თუ აქტივობებს - დაადასტურეს პედაგოგებმა და გამოხატეს მზაობა რევიზირებული კურიკულუმის შექმნის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზის გათვალისწინების შესახებ.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- I-VI კლასის კურიკულუმები;
- კურიკულუმის-მეთოდოლოგია
- მათემატიკის შემაჯამებელი ოქმი
- დაწყებითი კათედრის ოქმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- სამუშაო ჯგუფის (ისგ) ოქმი N1;
- მათემატიკის საბუნებისმეტყველო ისტ კათედრის ოქმი;
- გასასვლელი ბარათი მათემატიკაში I კლასი;
- დამრიგებლის ანგარიში;
- შემაჯამებლის ანალიზის ფორმა,
- სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი.
- განმავითრებელი შეფასების ფორმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინტერვიუ მასწავლებელთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კურიკულუმებში განსაზღრული კომპლექსური დავალებები და ამ დავალებების შესრულების ეტაპები და ნაბიჯები აიძულებს მოსწავლეებს დააფიქროს შემოქმედებითი უნარების გააქტიურებაზე, რათა შექმნან საბოლოო სასურველი პროდუქტი. ასევე სხვადასხვა პროექტების თუ აქტივობების გახორციელება შესაძლებელს ხდის მოსწავლეები ჩაერთონ აქტიურ შემოქმედებით პროცესში. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია სკოლაში ჩატარებული ინტელექტუალური შეჯიბრებები, აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს და გამოხატეს მზაობა უფრო ინტესიურად დაგეგმონ მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით და ჩართულობით მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეებს მისცემს შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სასკოლო საზოგადოება, მასწავლებლები და მოსწავლეები ჩართულნი არიან სასკოლო და გარე პროექტებში, სასწავლო პროცესში იყენებენ პროექტული სწავლების მეთოდიკას. კურიკულუმში კონტექსტმაგალითებად წარმოდგენილი მხატვრული ტექსტები, შერჩეული თემები, კომლექსური დავალებების იდეები, კონსტრუქტივისტული მეთოდიკით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელების შემთხვევაში ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციისა და შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის. ახალი ცოდნის კონსტრუირება გარკვეულწილად ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები და მათ ფარგლებში განსახილველი საკითხები ისე გაწერილი, რომ მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებზე დაყრდნობით წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, გააზრებაში და კონსტრუირებაში. პედაგოგებს არ აქვთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დიდი გამოცდილება, მაგრამ რაიონის სხვა სკოლის პედაგოგებთან თანამშრომლობით, რომელთაც საკმაო გამოცდილება აქვთ ამ კუთხით, იცნობენ კომპლექსური დავალების განხორციელების გზებს და შესაბამისად გეგმავენ მის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოების ანალიზი და კათედრებთან გასაუბრება ექსპერტებს აფიქრებინებს, რომ სკოლაში, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, რაც გულისხმობს მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლის მართვის გაცნობიერებას, მოსწავლეთა განმავითარებელ შეფასებასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თვითშეფასებას. მაგ. კომპლექსური დავალებების შექმნა ცხოვრებისეული მაგალითების გამოყენებით. სხვადასხვა შეფასების რუბრიკები და განხორციელებული საგაკვეთილო პროექტები. ასეთი მუშაობის პროცესი მოსწავლეს აფიქრებს რა ცოდნა აქვს მიღებული, რა უნდა გააერთიანოს და გამოიყენოს პრაქტიკაში და ამის შემდეგ შექმნას ახალი პროდუქტი. მოსწავლე აკეთებს თვითშეფასებას, რაც ხელს უწყობს მომავალი საქმიანობის დაგეგმვასა და განხორციელებას. მაგალითად დაასახელეს სტრატეგიები: შესასწავლ საკითხში მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამოყოფა, ჩანაწერის გაკეთება, მარკირება, შეჯამება, საკითხის მისი სიტყვებით გადმოცემა, მთლიანი მასალის ნაწილებად დაყოფა და მათი სწავლა ნაწილ-ნაწილ და ა შ. ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ჰქონდეთ მოსწავლეებს საკუთარი თავის რწმენა და არ შეუშინდნენ სირთულეებს, იფიქრონ პრობლემების მოგვარებაზე და ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიებაზე.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ კომპლექსურ დავალებებსა და სასკოლო თუ არაფორმალურ აქტივობებში.მასწავლებლებმა, ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ დამუშავებული დავალებები სხვადასხვა უნარის გააქტიურებაზეა ორიენტირებული, და ფაქტობრივი - დეკლარატიული ცოდნის ფლობის ხარისხის შემოწმების გარდა მიზნად ისახავს პროცედურული და პირობისეული ცოდნების ფლობის ხარისხის შემოწმებას, რაც აქვთ ასახული შეფასების რუბრიკებში.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში მნიშვნელოვნად არის ასახული მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ესგ-ს მიხედვით შედგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები გვაძლევს საგნობრივი კომპონენტების ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას და უზრუნველყოფს სასწავლო მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, ინტერესსა და წარმოდგენებთან. საგნობრივ კურიკულუმში ჩანს მოსწავლის ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ეს პროცესი აგებულია მატრიცების მეშვეობით კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპზე პრაქტიკულად მიმდინარეობისას. ასევე ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებისას (ინტეგრირებული გაკვეთილი ხელოვნებასთან ერთად მე-4 კლასში). ეს უნარები ასევე ვითარდება არაფორმალური პროექტებითა და სადამრიგებლო საათზე განხორციელებული მუშაობით.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა (2023-2024);
- მასწავლებლის პორტფოლიო;
- ინტერვიუ მასწავლებელთან

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **მათემატიკა** - სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კონსტრუქტივისტული მიდგომების გამოყენებით და ერვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით გრძელვადიან მიზნობრივ ორიენტირით. ამ პროცესში მუშავდება სამიზნე ცნება და სტანდარტის შედეგები. განსაზღრულია თითოეული თემისათვის მკვიდრი წარმოდგენები. კომპლექსური დავალებების დაგეგმვა და განხორციელების ვალდებულება, სწორედ რომ მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას ემსახურება, აღღნიშნეს კათედრის წევრებმა საუბრისას და გამოხატეს მზაობას ანალოგიური პრინციპებით და მიდგომებით დაგეგმონ და განახორციელონ კურიკულუმები და მის შესამაბისად სასწავლო პროცესი.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლის კურიკულუმში ასახული სწავლა - სწავლების პროცესი, თითოეულ თემაში, გრძელვადიანი და საშუალოვადიანი მიზნების მიღწევის მიზნით, ასევე ინტერვიუს პროცესში კითხვებზე: როგორ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ახერხებთ თითოეულ საგანში, საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, თითოეულ თემაში, საფეხურისთვის განსაზღვრული სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების სიღრმისეულ დამუშავებას, იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ კათედრაზე მასწავლებლებს აქვთ მზაობა წარმართონ სასწავლო პროცესი ისე, რომ ყოველდღიური სწავლა - სწავლების პროცესში სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

**სახელმწიფო ენა-** კათედრა, პედაგოგები, სამიზნე ცნებების, თემების, საგნობრივი საკითხების, საფეხურის საკვანძო შეკითხვების ურთიერთკავშირს, განიხილავენ სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე აგების ძირითადად საგანმანათლებლო პრინციპად და საშუალებად. პედაგოგები თვლიან, რომ მოსწავლეები დროთა განმავლობაში კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შემდეგ შეძლებენ საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით სამიზნე ცნებებისა და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებასა და გაცნობიერებას.

**ესთეტიკური აღზრდა-** დაწყებითი საფეხურის მომდევნო სასწავლო წლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმებში მკაფიოდაა განსაზღვრული გრძელვადიანი მიზანი- სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, რომლის დაძლევას/გააზრებას ემსახურება თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები როგორც შუალედური მიზანი, ამთლიანებს და დინამიკაში წარმართავს პროცესს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დამატებით რესურსებში, ჩანს ნიმუში, სადაც ასახულია ამ მიზნის თვალსაზრისით გაცნობიერებული დავალებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. შემუშავებული კურიკულუმის მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბების ხელშესაწყობად.ამას ადასტურებს შუალედური სასწავლო მიზნებიც, რომლებიც იკითხება კურიკულუმის ჩარჩოში.

**უცხოური ენები** - სამიზნე ცნებები სწავლა-სწავლების პროცესში განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას ეუფლება. სამიზნე ცნებები აზუსტებს მკვიდრ წარმოდგენებს, საკვანძო შეკითხვებს, რომელთა ერთიანობასაც უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმები შესრულებული კომპლექსური დავალებებითა და რეფლექსიებით. რეფლექსიას ახორციელებენ მასწავლებლები, რომ მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი ძირითად ცნებებს შორის.

**ტექნოლოგიები** - .მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების დაუფლებას, საგნობრივი საკითხების დამუშავებას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, ასევე, რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია. სასწავლო თემები შერჩეულია ეროვნულ სასწავლო გეგმით რეკომენდირებული თემატური ჩარჩოს გათვალისწინებით, თემიდან გამომდინარე, განსაზღვრულია კომპლექსურ დავალებები თითოეული კლასისთვის. სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

**სპორტი** - სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით ( ადასტურებს წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები) ; სასწავლო პროცესი ისეთი მიდგომითაა დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, დავალების პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე ხდება ახალი ცოდნის შენება თანმიმდევრობით. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს გაუადვილებს ახალი აქტივობების გააზრებას და შესწავლას. წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები დასტურად.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **მათემატიკა** - სასწავლო პროცესში ვითვალისწინებთ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქიკურ მდგომარეობას, ინტერესებს, შესაძლებლობებს, სწავლის სტილს, უნარს, თვისებებს და სასწავლო პროცესს წარვმართავთ ყველა იმ ფაქტორების გათალისწინებით განაცხადეს პედაგოგებმა. ყოველი აქტივობა თუ დავალება ემსახურება მათ პიროვნულ თუ ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შექმნილი გვაქვს პოზიტიურ და კეთილგანწყობილ გარემო. ვცდილობთ მოსწავლე იყო დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. აღნიშნეს კათედრის წევრებმა, ამასთანავე გამოხატეს მზაობა მომავალშიც სასწავლო პროცესი ანალოგიური მიდგომებით წარმართონ.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** -მოსწავლეების პიროვნული და ფსიქო - სოციალური განვითარების მხარდაჭერაზე ორიენტირებულია ის სასწავლო რესურსები და საგანმანათლებლო აქტივობები, რომლებიც არის ასახული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმში. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მასწავლებლებთან ინტერვიუირების პროცესში გამოიკვეთა მათ შორის თანამშრომლობის მაღალი ხარისხი, რაც იმით მტკიცდება რომ სხვადასხვა საგნის მასწავლებლებმა იცოდნენ და აკეთებდნენ უკუკავშირს ერთმანეთის მიერ განხორციელებულ აქტივობებსა და სასაწავლო პროექტებზე.

**სახელმწიფო ენა-** წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, თემატური ერთეულები, დავალების შესრულებისას გადასაჭრელი და გასაანალიზებელი პრობლემები, კონკრეტული საგნობრივი საკითხები, განსახორციელებელი აქტივობები, კონტექსტმაგალითები, შეძლებისდაგვარად მორგებულია მოსწავლეთა კონკრეტული ასაკისათვის დამახასიათებელ ფსიქო-სოციალური განვითარების დონეს.

**ესთეტიკური აღზრდა-კურიკულუმის** დანართებში ჩანს ესთეტიკის კათედრის მიერ განხორციელებული აქტივობების ისტორია, საგნობრივი კონტექსტები და მრავალფეროვანი თემები, რომლებიც პირველ რიგში მოსავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას უწყობს ხელს. 2023-2024 წ. სასკოლო სასწავლო გეგმა მომავალი წლის ძირითად ამოცანებში, პრიორიტეტად სახავს მოსწავლეთა სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, მოსწავლის მომზადებას საბაზო საფეხურისთვის.

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საგნობრივი კონტექსტები გარკვეულწილად ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული თემები და მათ დასაფარად შერჩეული საკითხები/ქვესაკითხები/კომპლექსური დავალებები წარმოადგენს მოსწავლისთვის ნაცნობ შინაარსიან კონტექსტს, რომელიც ახდენს მის შინაგანი ძალების გააქტიურებას. უზრუნველყოფს მის აქტიურ ჩართულობას, რაც დავალებაზე მუშაობის პროცესში იწვევს მის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. პედაგოგი ხშირად უსვამს შეკითხვას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეს თუ რა გაუძნელდა ან რა მოეწონა დავალებაზე მუშაობისას, რისი ცოდნა დაეხმარა მას დასკვნების გაკეთებაში. მოსწავლეს არ აქვს შეცდომით შესრულებულ დავალებაზე საყვედურის მიღების შიში, რაც მას უძლიერებს თვითშეფასებას და მიკუთვნებულობას სასკოლო საზოგადოების მიმართ. მოსწავლეთა საჭიროებების საპასუხოდ დაგეგმილი ღონისძიებები, აქტივობები ეხმარება მოსწავლეებს, რომ მათ შეძლონ საკუთარი ემოციების, ძლიერი და სუსტი მხარეების ამოცნობა;

**უცხოური ენები** - სწავლა მიმართულია მოსწავლის არა მხოლოდ ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს განვითარებაზე, არამედ ხელს უწყობს სოციო-ემოციური სფეროს კეთილდღეობას. სკოლაში საგნობრივი სწავლება ორიენტირებულია თვითცნობიერების, თვითრეგულაციის, სოციალური ცნობიერების, ურთიერთობისა და პაუხისმგებლობის უნარების განვითარებაზე. სკოლაში შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ შეფასება-განვითარებაზე, ჰოლისტურ მიდგომაზე, რაც გამოიხატება მასწავლებლის და მოსწავლის ურთიერთთანამშრომლობაში. სწავლა არის მოსწავლეზე ორიენტირებადი და კონტროლირებადი. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს.

**ტექნოლოგიები** - გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში უდიდესი ყურადღებას აქცევენ მოსწავლის პიროვნულ და სოციალურ განვითარებაზე ზრუნვას. სკოლაში შექმნილია თანამშრომლობითი, ერთმანეთზე მზრუნველი პოზიტიური სასწავლო გარემო, რომელიც უზრუნველყოფს, რომ მოსწავლე თავისუფლად გამოთქვამს თავის აზრს, წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები. მოსწავლეებს ასევე შეუძლიათ საკუთარი და სხვათა გრძნობების გაგება და სათანადოდ რეაგირება, თვითმართვა და თვითშეფასება, ადაპტირება გარემოსთან, ამჟღავნებენ ნდობას ირგვლივ მყოფების მიმართ, თავისუფლად გამოხატავენ თავიანთ სურვილებს და განცდები და ამავე დროს მან უნდა შეძლონ გაუგოს თანატოლებსაც. პედაგოგებმა დაადასტურეს მზაობა, მომავალშიც ასეთი გარემოს უზრუნველყოფისა სასწავლო პროცესში. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია კლასის დამრიგებლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფუნქციები. კლასის დამრიგებელი შემუშავებული სქემაზე დაყრდნობით ახდენს მოსწავლის სოციალური და ინტელექტუალური მოსწრების შეფასებას, ასევე წინასწარ განსაზღვრული სქემის მიხედვით ახდენს ანალიზს და აცნობს მშობელს მოსწავლის ფსიქო-სოციალურ პორტრეტს.

**სპორტი** - პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად ვლინდება რომ, საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობები , მათ შორის არაფორმალური განათლების კუთხითაც და წარმოდგენილ კურიკულუმებში შეტანილი რესურსი უზრუნველყოფს ფიზიკური უნარებისა და ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის უნარების განვითარებას. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ განვითარებასა და მათ სულიერ კეთილდღეობას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

**3.** ექსპერტებთან გასაუბრების დროს დაადასტურეს პედაგოგებმა, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეებს აფასებენ არა მარტო აკადემიური მიღწევის დონით, არამედ სხვადასხვა უნარების მიხედვით. შეფასებასც შესაბამისად მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. მოსწავლის ჰოლისტური შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მოსწავლის შეფასებისას ყურადღება ექცევა მოსწავლის შესაძლებლობებზე და უნარებზე. მოსწავლის თვითრეალიზებაზე, მის ინტერესების დაკმაყოფილებაზე. სკოლას შესაბამისად წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები. კომპლექსური დავალების შესრულებისას ვიყენებთ შეფასების „ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას“ აღნიშნეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსა და გამოხატეს მზაობა მომავალშიც გააგრძელონ ანალოგიურად მოსწავლის შეფასება. სასკოლო კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, აღნიშნულ რუბრიკებში ჩანს ჰოლისტური მიდგომის მხარდაჭერა.წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ აქვთ მზაობა შეფასების სისტემა ორიენტირებული გახადონ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; კათედრებზე შემუშავებული აქვთ სხვადასხვა ტიპის რუბრიკები, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით აფასებს მოსწავლეს : მაგ: კრიტიკული აზროვნება, ჯგუფური მუშაობის, პრეზენტაციის უნარი, თემის გააზრება სამიზნე ცნებების დონეზე ; დიახ-არა ბარათები-ფერადი ბარათები გავიგე/ვერ გავიგეს დასადგენად; ცერები, შესასვლელი/გასასვლელი ბილეთი.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4.ექსპერტები ადასტურებენ, რომ პედაგოგებთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მოსწავლეები შეძლებისდაგვარად გათვითცნობიერებულნი არიან შეფასების მიზნობრიობაში, რადგან იცნობენ შეფასების კრიტერიუმებს. კომპლექსური დავალებებისთვის და შეფასების რუბრიკებისთვის სამომავლოდ შემუშავდება ისეთი შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე შეფასების სისტემის დანერგვას შეუწყობს ხელს. პედაგოგები შეეცდებიან თავიანთი პრაქტიკული გამოცდილება დახვეწონ ამ კუთხით და შეფასების სისტემა გამოიყენონ მოსწავლეთა ცოდნის დონისა და სწავლის პროცესის, სამიზნე ცნებების გაცნობიერებისა და გათავისების დინამიკის განსასაზღვრად.კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის განსმაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ზოგადი ნიმუში საგნებისათვის, რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზნს, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური და სანდო. მუშავდება შესაბამისი რუბრიკები, რომელიც მორგებულია ყველა დაგეგმილ კომპლექსურ დავალებაზე.დაწყებით საფეხურზე მასწავლებელი ზოგჯერ იყენებს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტს- შუქნიშნები .

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5.ექსპერტები ასკვნიან, რომ სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემის, სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ვერიფიკაციის მექანიზმი. ვერიფიკაციას სკოლა ძირითადად სამი მიმართულებით ახორციელებს: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. დოკუმენტში გაწერილია ვერიფიკაციის პროცესის განხორციელების პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა, სრტუქტურა და შინაარსი, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესი და პროცედურა.ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა აქვს მზაობა იმუშაობს შეფასების ვერიფიკაციის სისტემის გამართვასა და გავითარებაზე.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

6.შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები, კერძოდ მოსწავლის პირადი საქმეები შენახულია სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე., საქმისმწარმოებელის პასუხისმგებლობით. მიმდინარე და კომპლექსური დავალებების შეფასებები ინახება კათედრაზე, კათედრის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის ქვეშ. სკოლა პასუხისმგებლობით ეკიდება სასკოლო დოკუმენტაციის წარმოებას და შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს, რომლის მიხედვითაც მოსწავლეთა პირადი საქმეები ბრძანებები, კლასის, საფეხურის დაძლევის შესახებ ინახება სკოლის კანცელარიაში. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საფეხურის დაძლევის ბრძანება ;
- განსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ;
- სასკოლო კურიკულუმი.
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი
- მასწავლებლის პორტფოლიო
- მასწავლებლებთან ინტერვიუ
- ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა;

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასკოლო კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია სკოლაში დამკვიდრებული მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნისათვის ზრუნვა და უზრუნველყოფა. პედაგოგიური საქმიანობა დამყარებულია სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთპატივისცემაზე, ერთმანეთის ზრუნვასა და მხარდაჭერაზე, აღნიშნეს კათედრის წევრებმა ექსპერტებთან გასაუბრების დროს. მხარდაჭრილია მოსწავლეების მიერ ინციატივები, იდეები, რაც აისახება დაგეგმილ და განხორციელებულ სხვადასხვა ღონისძიებებში და აქტივობებში. ჩვენს სკოლაში სასწავლო გარემო არის დაფუძნებული თანამშრომლობაზე, მხარდაჭერასა და მიმღებლობაზე. სკოლაში დამკვიდრებული კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი თანამშრომობაზე, მხარდაჭერასა და პროფესიული განვითარებაზეა ორიენტირებული. სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც მუდმივად ზრუნავს მასწავლებელთა განვითარებაზე კონსტრუქციული უკუკავშირითა და მხარდაჭერით. აგრეთვე სკოლაში მოქმედებს ადაპტაციის წესი. მომავალშიც სკოლა ხელს უწყობს მხარდამჭერი გარემოსა და პოზიტიური კლიმატის შექმნას კლასის და სკოლის დონეზე., განაცხადეს კათედრის წევრებმა და დასტურდება კიდეც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით. მოსწავლეებს უკუკავშირს აძლევენ განმავითარებელის შეფასებით, ასევე უზრუნველყოფენ მოსწავლეებისთვის სასწავლო რესურსების მიწოდებას. წარმოდგენილი კურუკულუმები, სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები, სკოლის სამოქმედო გეგმა და თვითშეფასება ადასტურებს იმ ფაქტს რომ სასწავლო პროცესსი შექმნილია მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემო.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით გაწერილი და წარმოდგენილი კურიკულუმები, რომლებიც შემუშავებულია სამიზნე ცნებებზე ორიენტირით და შესაბამისი კომპლექსური დავალებები, პროექტებში და ღონისძიებებში მონაწილეობა, ქმნის საფუძველს დავასკვნათ რომ სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებულად. მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მონაწილეობა ოლიმპიადებში, მოსწავლეთა ნაშრომები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის. განსაკუთრებული როლი ენიჭება სკოლაში, როგორც ფორმალურ განათლებას, ასევე არაფორმალურ განათლებას, განაცხადეს კათედრის წევრებმა ექსპერტებთან გასაუბრების დროს.ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან, სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული. (დასტურდება ფოტომასალით, სიგელებით, სკოლის ფეისბუქ გვერდზე განთავსებული აქტივობებით),

**ინდიკატორის მოთხოვნები დამაყოფილებულია**

3. სკოლაში სკოლაში დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა განაპირობებს სასწავლო პროცესში თანამშრომლობითი პრინციპების დაცვას, რაც დასტურდება კათედრის, სამეურვეო საბჭოს, მოსწავლეთა თვითმართველობის სხდომები და მშობელთა კრებების ჩატარებითა და საქმიანი ურთიერთობებით. პროფესიული ზრდის მიმართულებით სკოლაში დამკვიდრებულია ურთიერთდასწრება „კრიტიკული მეგობარი“ სახით, აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს. კათედრის წევრები გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს; 2020 წლიდან კი USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტიური თანამშრომლობა და კომუნიკაცია. ლიდერ-მასწავლებელთა უშუალო ჩართულობით და ორგანიზებით. მასწავლებელთა შორის პროფესიული ზრდისა და პროფესიული განვითარების მიზნით ტარდება კათედრის შეხვდრები თვეში ორჯერ.ასევე მნიშვნელოვანია თანამშრომლობა მოსწავლებთან და მათ მშობლებთან. მოსწავლის ქცევაზე დადებითად აისახება მასწავლებლისა და მშობლების თანამშრომლობის ფაქტი.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. ექსპერტები, კათედრის წევრებთან გასაუბრების საფუძველზე, ასევე, მოსწავლეთა მიერ სასწავლო პროცესში შექმნილი საინტერესო პოსტერების გაანალიზებით ასკვნიან, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი; სკოლის შინაგანაწესის, სკოლის მართვის პოლიტიკის დოკუმენტებისა თუ სკოლის სტრუქტურული ერთეულების შინაარსი ორიენტირებულია საკლასო და სასკოლო პოზიტიური კლიმატის შექმნაზე. საგანმანათლებლო გარემო ორიენტირებულია თავისუფალი აზრის დაფიქსირებაზე ,რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სასკოლო საზოგადოებას სკოლისადმი მიკუთვნელობის განცდა ჰქონდეს. სკოლის დირექცია, თანამშრომლები, პედაგოგები სკოლაში ქმნიან უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოს. ბავშვების ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება თემატური ღონისძიებები, არაფორმალური აქტივობები, ხორციელდება სხვადასხვა პროექტები. მოსწავლეები ჩართულნი არიან ერთობლივ სასკოლო ღონისძიებებში.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- I- VI კლასის  კურიკულუმები;
- კურიკულუმის-მეთოდოლოგია;
- მოსწავლის-გარემოსთან-ადაპტაციის-დებულება;
- მშობელთან ურთიერთობის დებულების კომუნიკაციის დამტკიცების შესახებ;
- ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- შინაგანაწესი;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მასწავლებლის პორტფოლიო
- საზოგადოებასთან ურთიერთობა

შეფასება:

o *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პირველადი ავტორიზაციის ფარგლებში ვერ შეფასდება მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება თუ არა მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია", გაწერილია სასწავლო პროცესის მონიტორინგის და შეფასების მეთოდები, პრინციპები. სკოლაში არსებოს მონიტორინგის ფორმა, რომელიც ხორციელდება ხარისხის ჯგუფისა და კათედრების მიერ, განმავითარებელი რუბრიკის შესაბამისად, აღნიშნეს კათედრის წევრებმა ექსპერტებთან გასაუბრების დროს. მონიტორინგი მიმდინარეობს საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, შემდეგ მასწავლებელს აძლევენ კონსტრუქციულ უკუკავშირს. წერენ რეფლექსიებს, ხდება სუსტი და ძლიერი მხარეების გამოკვეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იდენტიფიცირებული პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრებისას, მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია, აღნიშნეს მათ.

**ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას**

2. სკოლაში სასწავლო პროცესის მონიტორინგს და შეფასებას ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც კათედრებთან ერთად ეხმარება სასკოლო საზოგადოებას საჭიროებების გამოვლენასა და პრობლემების იდენტიფიცირებაში, არსებული პრობლემების აღმოფხვრის გზების ძიებასა და დადგენაში, ეს პროცესები მიმდინარეობს არსებული სიტუაციების ანალიზისა და უკუკავშირის საფუძველზე. სკოლა არ იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელში და გათვითცნობიერებული აქვს პასუხისმგებლობა სირთულეების დაძლევის მიმართულებით, რომელიც მხოლოდ სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებაზეა ორიენტირებული. მასწავლებლის საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა სასწავლო პროცესის განუყოველ ნაწილია, აღნიშნეს კათედრის წევრებმა ექსპერტებთან გასაუბრებისას, ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ საგნობრივ კათედრებსაც.ამ ეტაპზე სკოლაში არ არსებობს სადიაგნოსტიკო შეფასების ჩატარების ტრადიცია თუმცა არსებობს პედაგოგთა მზაობა დიაგნოსტირების სწორად წარმართვისთვის, რომლისთვისაც პირველი ინსტრუმენტია შერჩეული-კომპლ.დავალება.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. მონიტორინგი და შეფასება, რომელიც სკოლაში მიმდინარეობს ტარდება შეთანხმებული ფორმატით, წარმოდგენილი ვადებით და შეფასების ინსტრუმენტებით და შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება და სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და მიმართულია სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის და განსზღვრავს წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზას და საშუალებას, დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრებისას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- I-VI კლასის კურიკულუმები;
- კურიკულუმის-მეთოდოლოგია;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა;

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. გასაუბრების პროცესში კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ შფასება სასწავლო პროცესში ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, კერძოდ, მიმდინარეობს გამოკითხვა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვებით, მღებულობთ კოლეგებისგან უკუკავშირს, ხორციელდება ინფორმაციების მიღება კლასის დამრიგებლისაგან, მშობლისგან, თანაკლასელისგან, მასწავლებლის, კათედრის თავმჯდომარის, ურთიერთდაკვირვებისა და დასწრების ,მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფისაგან სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ..სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევების, შეფასების ვალიდურობისთვის ინფორმაციის მოპოვებისას სკოლა ეყრდნობა სხვადასხვა მონაცემებს. მაგ. სასკოლო საზოგადოების წევრებისგან, მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მოწოდებულ მოსაზრებებსა და ინფორმაციას. ასევე სხვადასხვა დოკუმენტურ, სტატისტიკური ტიპის რესურსებს.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, კერძოდ, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობით, ასევე დისკუსიაში, ჯგუფურ თუ ინდივიდუალურ მუშაობაში მონაწილეობის თვალსაზრისით, პრეზენტაციის წარმართვისას და ა. შ. ასევე პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებების, შესრულების პროცესზე დაკვირვებას, აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს ასევე, პედაგოგები საკუთარი პედაგოგიკური გამოცდილების ანალიზისას და მოსწავლის შეფასებისას, მასზე დასაკვირვებლად ითვალისწინებენ განსხვავებულ კონტექსტებს. ეს შეიძლება იყოს საკლასო გარემო, აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, პიროვნული გამოცდილება და ინტერესები. სკოლა გეგმავს ჰოლისტური შეფასების მეტი ინტენსივობით გამოყენების კულტურის დამკვიდრებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემთა მიზნობრივი შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს. სკოლაში განხორციელებული საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების, პროექტების შეფასება ხდება შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან.აღნიშნულის განხორციელება ხდება: კლასის საათის ფარგლებში მოსწავლეთა გამოკითხვთ, მათი შეხედულებების და ხედვების დასადგენად, ასევე მშობელთა კრებებზე ხდება პრობლემური საკითხების განხილვა და ამ პრობლემების მოგვარების გზების ერთობლივად დასახვა.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლაში შეფასება ხორციელდება ჩართულობის, ურთიერთანამშრომლობის, შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ფაქტორების, პირადი და სოციალური ფაქტორების ინდივიდუალური განსხვავებების ფაქტორების გათვალისწინებით.კათედრის პედაგოგები თანამშრომლობენ მშობლებთან, დამრიგებელთან და კლასის სხვა პედაგოგებთან. მოსწავლის შეფასებისას მასწავლებელი ცდილობს სრულყოფილი სურათი შეიქმნას მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შესახებ. რაც შეიძლება გაპირობებული იყოს მისი პიროვნული უნარებითა და აკადემიური შესაძლებლობებით.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- I-VI კლასის კურიკულუმები;
- კურიკულუმის-მეთოდოლოგია;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა;
- სტრუქტურული ერთეულების აღწერა,საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი;
- დამრიგებლის ანგარიში;
- მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრა ;
- დაწყებითი კათედრის ოქმი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**
**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. საგნობრივ ექსპერტებთან გასაუბრების დროს, კათედრის წევრებმა დაადასტურეს, რომ კურიკულუმის შემუშავების და განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის და კათედრებთან მათი კოორდინირებულ მუშაობის შედეგად მიღებულ დასკვნებს და მიგნებებს. მიმდინარე ან წინა წლის განვლილი სასწავლო პროცესების შეფასების და გაანალიზების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად, რომლებსაც ითვალისწინებენ სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის გაასახლებლად და განახლებული კურიკულუმის შემუშავებისას, ამის დასტურია თუნდაც წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები.სკოლა უფრო მიზნობრივად გეგმავს შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისთვის, სადაც გათვალისწინებული იქნება დაგროვილი გამოცდილება, SWOT ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილის, კომპლექსური დავალების, პროექტის რეფლექსიები, რამდენად გაუმჯობესდა წინა სასწავლო წელთან შედარებით მოსწავლეთა შედეგები, რა უშლიდა ხელს ან უწყობდა ხელს მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესებას. ეს ყველაფერი გათვალისწინებული იქნება მომდევნო წლის კურიკულუმში.

**ინდიკატორის მოთხოვნები დამაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კათედრის წევრებმა ექსპერტებთან გასაუბრების დროს დაადასტურეს, განახლებული კურიკულუმები შემუშავება დაფუძნებულია განვლილი წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის და განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების შედეგებზე. ასეთი ვალდებულება გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ და დამტკიცებულ დოკუმენტებში და სკოლის სასწავლო პროცესის განუყოფელ და მნიშვნელოვან პროცესს წარმოადგენს.მომდევნო სასწავლო წლიდან გეგმება ამ პროცესებს მიეცეს დოკუმენტის სახე, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი, სასკოლო კურიკულუმზე მომუშავე პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქცია-მოვალეობანი. განხორციელდება მონიტორინგი და მოხდება მიღებული შედეგების შეფასება.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- I-VI კლასის კურიკულუმები;
- კურიკულუმის-მეთოდოლოგია;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა;
- სკოლის-განვითარების-სტრატეგიული-გეგმა;
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- კათედრის ოქმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური კურიკულუმი) | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.1<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.2<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.3<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.4<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. სასკოლო კურიკულუმი
### 2.1. კურიკულუმის შემუშავება
### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში, ,,სასკოლო კურიკულუმი(შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია)“ წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული მხარეების შესაძლებლობის შესახებ ვალდებულება და ეფუძნება კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების შემდეგ პრინციპს: „კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს.“ - ვკითხულობთ დოკუმენტში, რაც ადასტურებს რომ კურიკულუმის მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. ამ შესაძლებლობის რეალურად განხორციელების დასტურად კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში აქტიურად ვიყავით ჩართულები როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლები, ასევე პედაგოგები. კლასის დამრიგებლებთან თანამშრომლობით კი ხორციელდებოდა მშობლებთან და მოსწავლეებთან სამუშაო შეხვედრები. ამ შეხვედრებზე განიხილებოდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმის პროექტი, რომლის დროსაც ვითვალისწინებდით მათ ინტერესებს, შესაძლებლობებს და პრიორიტეტებს, რომლის უფლებაც განსაზღვრული გვქონდა დოკუმენტით „სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია)“.

მნიშვნელოვანია რომ, სკოლაში, სხვადასხვა კათედრის წევრები გამოხატავენ მზაობას მომავალ წლებშიც კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნება სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ინტერესები და პრიორიტეტები.

**ინდიკატორის მოთხვნები დაკმაყოფილებულია**

2. საგნობრივი ექსპერტები ადასტურებენ, სასკოლო კურიკულუმში, რომელიც სკოლამ წარმოადგინა, წარმოდგენილია და კათედრის წევრებთან გასაუბრების დროსაც დადასტურდა, რომ მასში გათალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. განსაკუთრებით გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები, სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია, თუ როგორ (რა საშუალებებით) ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. კათედრებზე კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედის წევრებთან თანამშრომლობით, განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით.სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში შერჩეული მრავალფეროვანი სასწავლო პრაქტიკული და თეორიული შინაარსის თემებით გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, მათი შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებები.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლები ერთობლივად მუშაობდნენ კურიკულუმის შექმნაზე, მუშაობის დროს ითვალისწინებდნენ გასული წლების შედეგებს და გამოცდილებას. კურიკულუმის შემუშავების პროცესი აღწერილია დაწყებითი კათედრის სხდომის ოქმში. ინტერვიუდან ირკვევა, რომ კომპლექსური დავალებების შერჩევისას, კათედრის თითოეულმა წევრმა მიიღო მონაწილეობა, გარდა ამისა, გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ინტერესები და მზაობა.კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულიბას ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტები, სასკოლო სასწავლო გეგმა შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან, ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო და დირექტორი. კურიკულუმების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას ადასტურებს აგრეთვე პედსაბჭოს , სამეურვეო საბჭოს , კათედრის სხდომის ოქმებიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. კურიკულუმების გაზიარება ხორციელდება როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალურად; სკოლაში საინფორმაციო დაფაზე, საკლასო ოთახში, სხვადასხვა სამუშაო შეხვედრებზე, სკოლის Facebook-ის გვერდზე. მშობლებთან გაზიარება ხორციელდება აგრეთვე „მშობლის ბარათები" -ის საშუალებით. ასევე ვიყენებთ teams პლატფორმას და ელექტრონული ფოსტას, აღნიშნეს კათედრის წევრებმა ექსპერტებთან გასაუბრების დროს. საზოგადოების მხრიდან უკუკავშირის მისაღებად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა ზეპირი/სიტყვიერი ფორმა. გასაუბრების დროს აგრეთვე გამოიკვეთა, რომ შექმნილი კურიკულუმების ფარგლებში დაგეგმილი ფესტივალები , არაფორმალური განათლებისა და საერთო სასკოლო აქტივობებში ჩართულობის შესახებ ინფორმაციას იზიარებს სასკოლო საზოგადოებაც. კათედრები აანალიზებენ, როგორც საკუთარ პედაგოგიკურ პრაქტიკასა და გამოცდილებას, ასევე იმ პრიორიტეტებს, რომელთა გათვალისწინებაც კურიკულუმის შემუშავებისას ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების ჩართვას ამ პროცესში. პედაგოგები და მშობლები გაეცნობიან სხვადასხვა საგნის კურიკულუმების პირველად ვერსიებს, გაუზიარებენ ერთმანეთს საკუთარ მოსაზრებებს კომპლექსური დავალებების სპეციფიკისა და თავისებურებების შესახებ.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა (2022-2023 და 2023-2024 სასწავლო წლების),
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- მშობლის ინფორმირების წესი;
- ინტერვიუ მასწავლებელთან
- მშობელთა კრების ოქმი,
- კათედრის ოქმი;
- Facebook გვერდის მისამართი;
- დამრიგებლის ანგარიში დანართი N3
- გასასვლელი ბარათი
- მშობელთან ურთიერთობის დებულების კომუნიკაციის დამტკიცების შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჯგუფი;
- სტრატეგიული დანერგვის მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული ჯგუფის ოქმი;
- სკოლის-განვითარების-სტრატეგიული-გეგმა-საბოლოო;
- ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა.

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და მიმართულია საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. რაც მთავარია, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესიის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც შუალედური მიზანზე გასვლით, ემსახურება გრძელვადიანი მიზანზე გასვლას და აგებულია მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესებიდან გამომდინარე.სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის მზაობა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობები, უნარები და ინტერესები, რაც დასტურია იმისა, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.საბაზო საფეხურის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები ეყრდნობა და შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებსა და სასწავლო-მეთოდიკურ პრინციპებს. გასაუბრებისას წარმდგენილი კომპლექსური დავალებების იდეების გაცნობამ და ერთგვარმა საპრეზენტაციო განხილვამ წარმოაჩინა პედაგოგთა რეალური ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კათედრისთვის ცხადია, რომ სასწავლო გეგმამ, საგნობრივმა კურიკულუმმა უნდა შეძლოს მოსწავლეთა საბაზისო ინტერესებისა და მისწრაფებების აქტუალიზაცია. პედაგოგთა მხრიდან კონსსტრუქტივიზმის, როგორც სასწავლო პარადიგმის გააზრება და პრაქტიკასთან შესაბამისობა, როგორც თავად აღნიშნავენ სკოლის სარეფორმო პროცესში ჩართვამ განაპირობა. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ, რას ნიშნავს საფეხურის შედეგებზე, გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირება და მოსწავლეთა ნამუშევრების - როგორც შუალედური სასწავლო მიზნების ანალიზისას მიღებული შედეგებისა და მონაცემების საფუძველზე ცდილობენ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხრციელებასა და რეალიზებას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. ექსპერტები ადასტურებენ, რომ სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, საგნებში უმეტესწილად სწორადაა განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები. შერჩეული კომპლექსური დავალებების დამუშავება შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეს განუვითარდეს ფუნქციურ-კომპონენტური უნარები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, როგორ შეიძლება ამ უნარების განვითარება კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შედეგად. განსაზღვრულია კომპლექსური დავალებების იდეები.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სკოლას გააზრებული აქვს შემდეგი: სასწავლო პროცესისათვის მნიშვნელოვანია ინკლუზიური მიდგომები, რომელიც გათვალისწინებულია სწავლა-სწავლებისადმი დიფერენცირებული მიდგომებით, მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობებით, საჭიროებებით და სწავლისადმი დამოკიდებულებებით. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ -ინკლუზიურ მიდგომებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი , რომ ყველა შესაძლებლობის, მზაობისა და ინტერესის მქონე მოსწავლემ შეძლოს მასში ჩართვა და მუშაობა. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება, თითეული მათგანისათვის შემუშავებულია ისგ.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელთა გაანალიზებისას დასტურდება, რომ შეფასება ეყრდნობა სტანდარტის მკვიდრ წარმოდგენებსა და შედეგებს და მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. განმავითარებელი კომენტარით აღვწერთ, მოსწავლეთა განვითარების დინამიკას, ხოლო განმსაზღრვრელი შეფასებით საგნობრივი სტანდარტის შედეგის მიღწევის დონეს. კათედრის წევრებმა გასაუბრების პროცესში გამოხატეს მზაობა, მომავალშიც შექმნან მოსწავლის პროგრესის დიაგნოსტირებისათვის შეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკები, რომელიც განსაზღვრავს მათი პროგრესის დიაგნოსტირებას და მნიშვნელოვანია, რომ შეფასების რუბრიკების შედგენა განხორციელდება მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით.განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებად სკოლაში იყენებენ დიახ და არა ბარათებს, შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს, განმავითარებელი შეფასების კომენტარს.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. ექსპერტების დასვნით, სხვადასხვა კათედრის წევრებმა აღნიშნეს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ყურადღებას ამახვილებენ წინარე გამოცდილებაზე და ამ გამოცდილების ანალიზზე. კათედრის სხდომებზე ვისმენთ პედაგოგების ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ, ასევე ვიხილავთ შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზებს, რის შედეგადაც იკვეთება როგორც მასწავლებლის , ასევე მოსწავლეების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. ვღებულობთ დასკვნებსს და მიგნებებს და მათ საფუძველზე შევიმუშავებთ კურიკულუმებს, პროექტებს თუ აქტივობებს - დაადასტურეს პედაგოგებმა და გამოხატეს მზაობა რევიზირებული კურიკულუმის შექმნის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზის გათვალისწინების შესახებ.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის კლასის კურიკულუმები;
- კურიკულუმის-მეთოდოლოგია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მათემატიკის შემაჯამებელი ოქმი
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- სამუშაო ჯგუფის (ისგ) ოქმი N1;
- მათემატიკის საბუნებისმეტყველო ისტ კათედრის ოქმი;
- საბაზო საფეხურის კომპლექსური დავალება
- დამრიგებლის ანგარიში;
- შემაჯამებლის ანალიზის ფორმა,
- სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი.
- განმავითრებელი შეფასების ფორმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინტერვიუ მასწავლებელთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კურიკულუმებში განსაზღრული კომპლექსური დავალებები და ამ დავალებების შესრულების ეტაპები და ნაბიჯები აიძულებს მოსწავლეებს დააფიქროს შემოქმედებითი უნარების გააქტიურებაზე, რათა შექმნან საბოლოო სასურველი პროდუქტი. ასევე სხვადასხვა პროექტების თუ აქტივობების გახორციელება შესაძლებელს ხდის მოსწავლეები ჩაერთონ აქტიურ შემოქმედებით პროცესში. პედაგოგებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; შერჩეული კომპლექსური დავალებები გააზრებული აქვს პედაგოგს, როგორც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართვისა. პედაგოგები იყენებენ კოგნიტურ სქემებს, პრაქტიკულად ამზადებენ სხვადასხვა ნივთიერებებს ორივე საფეხურის - საბაზო და საშუალო მოსწავლეების თანამონაწილეობით. მაგ: ფერადი კოქტეილი.

სკოლაში მუშაობს ეკოკლუბი; მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა პროექტებში. მაგ: ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის ფარგლებში რამდენჯერმე მოიპოვეს წარმატება და სკოლა დაჯილდოვდა ფულადი და მატერიალური პრიზებით, რომელიც მიზნობრივად მოხმარდა სკოლას. სკოლამ განახორციელა პროექტი „ჩემი ჯანმრთელობა“-ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით. ჩართული იყო ყველა საგანი, მათ შორის ქიმია/ბუნებისმეტყველება ქიმია/ბიოლოგია/მე და საზ--განახორციელა ერთობლივი პროექტი- თემა " ნაცარი", ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის, რომლის ფარგლებში გააკეთეს ბოსტანი და მწვანილი გადასცეს საჩუქრად საბავშვო ბაღს, რათა ადრეული ასაკიდან მიაჩვიონ ჯანსაღი ცხ. წესს. ჩირის პოპულარიზაციისთვის სოფელში კვლევა ჩაატარეს. გამოირკვა რომ უმეტესად დაკონსერვებულს იყენებდნენ და წამოწიეს წინ ჩირის დამზადების იდეა ჯანსაღ კვებასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებისთვის. 3) პროექტი-ჩაი და ქველმოქმედება,(ქიმია-ბიოლ) ბავშვებმა ჩაი დაკრიფეს, გაყიდეს და ერთ-ერთ შშმ პირს შეუძინეს საჩუქრად მისთვის სასურველი წიგნების კრებული. მათემატიკასთან და ისტ-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თან ინტეგრირებით ელ. რესურსების ეკონომიასთან , ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებით განახორციელეს პროექტი. ბიოლოგიაში განახორციელეს პროექტი- ენდოპროთეზირება. VII-IX კლ. ქართულ ენასა და ლიტერატურაში კურიკულუმის ჩარჩოში კონტექსტმაგალითებად წარმოდგენილი და შერჩეული მხატვრული ტექსტები, თემები, კომლექსური დავალებების იდეები, ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციისა და შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. ინტერვიურებისას პედაგოგებმა ისაუბრეს კომპლექსური დავალების შემოქმედებით საკუთარი პედაგოგიკური პრაქტიკიდან მოხმობილი მაგალითით პედაგოგებმა შეძლებისდაგვარად ახსნეს, როგორ, რატომ უწყობს ხელს კომპლექსური დავალება მოსწავლეთა დაინტერესებასა და მათ ჩართვას აქტიურ შემოქმედებით პროცესში.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის. ახალი ცოდნის კონსტრუირება გარკვეულწილად ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები და მათ ფარგლებში განსახილველი საკითხები ისე გაწერილი, რომ მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებზე დაყრდნობით წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, გააზრებაში და კონსტრუირებაში. პედაგოგებს არ აქვთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დიდი გამოცდილება, მაგრამ რაიონის სხვა სკოლის პედაგოგებთან თანამშრომლობით, რომელთაც საკმაო გამოცდილება აქვთ ამ კუთხით, იცნობენ კომპლექსური დავალების განხორციელების გზებს და შესაბამისად გეგმავენ მის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოების ანალიზი და კათედრებთან გასაუბრება ექსპერტებს აფიქრებინებს, რომ სკოლაში, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, რაც გულისხმობს მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლის მართვის გაცნობიერებას, მოსწავლეთა განმავითარებელ შეფასებასა და თვითშეფასებას. მაგ. კომპლექსური დავალებების შექმნა ცხოვრებისეული მაგალითების გამოყენებით. სხვადასხვა შეფასების რუბრიკები და განხორციელებული საგაკვეთილო პროექტები. ასეთი მუშაობის პროცესი მოსწავლეს აფიქრებს რა ცოდნა აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიღებული, რა უნდა გააერთიანოს და გამოიყენოს პრაქტიკაში და ამის შემდეგ შექმნას ახალი პროდუქტი. მოსწავლე აკეთებს თვითშეფასებას, რაც ხელს უწყობს მომავალი საქმიანობის დაგეგმვასა და განხორციელებას. მაგალითად დაასახელეს სტრატეგიები: შესასწავლ საკითხში მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამოყოფა, ჩანაწერის გაკეთება, მარკირება, შეჯამება, საკითხის მისი სიტყვებით გადმოცემა, მთლიანი მასალის ნაწილებად დაყოფა და მათი სწავლა ნაწილ-ნაწილ და ა შ. ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ჰქონდეთ მოსწავლეებს საკუთარი თავის რწმენა და არ შეუშინდნენ სირთულეებს, იფიქრონ პრობლემების მოგვარებაზე და ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიებაზე.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ კომპლექსურ დავალებებსა და სასკოლო თუ არაფორმალურ აქტივობებში.მასწავლებლებმა, ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ დამუშავებული დავალებები სხვადასხვა უნარის გააქტიურებაზეა ორიენტირებული, და ფაქტობრივი - დეკლარატიული ცოდნის ფლობის ხარისხის შემოწმების გარდა მიზნად ისახავს პროცედურული და პირობისეული ცოდნების ფლობის ხარისხის შემოწმებას, რაც აქვთ ასახული შეფასების რუბრიკებში. საბაზო საფეხურის მოსწავლეებმა კერძოდ მერვე კლასმა უცხო ენის მასწავლებლებთან ერთად დაგეგმეს პროექტი „ჯანსაღი ცხოვრების წესი“ მოსწავლეები ჩავრთეთ ამ პროექტში ეთვინინგის მიერ ინიცირებულ პროექტში, სადაც ჩვენმა მოსწავლეებმა დაიწყეს მონაცემების შეგროვება, თუ რომელია ჯანსაღი პროდუქტი, რა იწვევს ზედმეტ სიმსუქნეს, გააკეთეს პოსტერები და ატვირთეს პროექტის სივრცეში, ორი მოსწავლე მონაწილეობას ითებდა პრეზენტაციაში რომელიც თიმსის პლატფორმაზე დაგეგმეს პროექტის ორგანიზატორებმა. პროექტის დასრულების შემდეგ მოსწავლეებმა რეფლექსიაში დაწერეს, რომ მათ ქონდათ მცირე ინფორმაცია ცხოვრების ჯანსაღ წესზე, ახლა მათ იციან ბევრი რამ, დაგეგმეს სკოლის მასშტაბით პრეზენტაციები და გაუზიარეს თავისი ცოდნა თანატოლებს

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში მნიშვნელოვნად არის ასახული მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ესგ-ს მიხედვით შედგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები გვაძლევს საგნობრივი კომპონენტების ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას და უზრუნველყოფს სასწავლო მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, ინტერესსა და წარმოდგენებთან. საგნობრივ კურიკულუმში ჩანს მოსწავლის ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ეს პროცესი აგებულია მატრიცების მეშვეობით კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპზე პრაქტიკულად მიმდინარეობისას. ეს უნარები ასევე ვითარდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არაფორმალური პროექტებითა და სადამრიგებლო საათზე განხორციელებული მუშაობით. ასევე კარგად მუშაობს ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები (ინგლისური ენის ინტეგრირებული პროექტი მე-7 და მე-9 კლასებში ,,Give me a second life“ ხელოვნებასა და ქიმიასთან. მოსწავლეებმა დაადგინეს რა ზიანი მოაქვს დაბინძურებას, დაასუფთავეს სკოლის ტერიტორია, დაახარისხეს ნაგავი და ნარჩენებისგან შექმნეს ფუფალა და ნაძვის ხე, შექმნეს კედლის გაზეთი).

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა (2023-2024);
- მასწავლებლის პორტფოლიო;
- ინტერვიუ მასწავლებელთან
- სასწავლო პროექტები;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **მათემატიკა** - სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კონსტრუქტივისტული მიდგომების გამოყენებით და ერვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით გრძელვადიან მიზნობრივ ორიენტირით. ამ პროცესში მუშავდება სამიზნე ცნება და სტანდარტის შედეგები. განსაზღრულია თითოეული თემისათვის მკვიდრი წარმოდგენები. კომპლექსური დავალებების დაგეგმვა და განხორციელების ვალდებულება, სწორედ რომ მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას ემსახურება, აღნიშნეს კათედრის წევრებმა საუბრისას და გამოხატეს მზაობას ანალოგიური პრინციპებით და მიდგომებით დაგეგმონ და განახორციელონ კურიკულუმები და მის შესამაბისად სასწავლო პროცესი.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლის კურიკულუმში ასახული სწავლა - სწავლების პროცესი, თითოეულ თემაში, გრძელვადიანი და საშუალოვადიანი მიზნების მიღწევის მიზნით, ასევე ინტერვიუს პროცესში კითხვებზე: როგორ ახერხებთ თითოეულ საგანში, საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, თითოეულ თემაში, საფეხურისთვის განსაზღვრული სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების სიღრმისეულ დამუშავებას, იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ კათედრაზე მასწავლებლებს აქვთ მზაობა წარმართონ სასწავლო პროცესი ისე, რომ ყოველდღიური სწავლა - სწავლების პროცესში სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

**სახელმწიფო ენა-** კათედრა, პედაგოგები, სამიზნე ცნებების, თემების, საგნობრივი საკითხების, საფეხურის საკვანძო შეკითხვების ურთიერთკავშირს, განიხილავენ სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე აგების ძირითადად საგანმანათლებლო პრინციპად და საშუალებად. პედაგოგები თვლიან, რომ მოსწავლეები დროთა განმავლობაში კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შემდეგ შეძლებენ საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით სამიზნე ცნებებისა და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებასა და გაცნობიერებას.

**ესთეტიკური აღზრდა-** ესთეტიკის კათედრის, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მომდევნო წლის კურიკულუმის ჩარჩოში მკაფიოდაა განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, მკვიდრ წარმოდგენები, რომლეთა დაძლევას/გააზრებას ემსახურება თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრულია ქვეცნებები. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები, ამთლიანებს და დინამიკაში წარმართავს პროცესს.

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. შემუშავებული კურიკულუმის მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბების ხელშესაწყობად.ამას ადასტურებს შუალედური სასწავლო მიზნებიც, რომლებიც იკითხება კურიკულუმის ჩარჩოში.

**უცხოური ენები** - ესგ-ს მიხედვით შემუშავებული სასკოლო კურიკულუმი, რომელიც შეიცავს კომპლექსური დავალებების შემცველ საგნობრივ კურიკულუმებსა და სასკოლო პროექტს, ეფუძნება თემატურ ბლოკებს, თემებს, სამიზნე ცნებებს, სტანდარტის შედეგებსა და მის მკვიდრ წარმოდგენებს. სამიზნე ცნებების გათავისებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მატრიცაში ჩაშენებული მკვიდრი წარმოდგენები და პრეზენტაციისას გამოკვეთილი კრიტერიუმები. მომავალი სასწავლო წლიდან კათედრა გეგმავს ამ მხრივ განმავითარებელი შეფასების უფრო აქტიურად გამოყენებას და დანერგვას.

**სპორტი** - სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით ( ადასტურებს წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები) ; სასწავლო პროცესი ისეთი მიდგომითაა დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, დავალების პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე ხდება ახალი ცოდნის შენება თანმიმდევრობით. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს გაუადვილებს ახალი აქტივობების გააზრებას და შესწავლას. წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები დასტურად.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **მათემატიკა** - სასწავლო პროცესში ვითვალისწინებთ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქიკურ მდგომარეობას, ინტერესებს, შესაძლებლობებს, სწავლის სტილს, უნარს, თვისებებს და სასწავლო პროცესს წარვმართავთ ყველა იმ ფაქტორების გათალისწინებით განაცხადეს პედაგოგებმა. ყოველი აქტივობა თუ დავალება ემსახურება მათ პიროვნულ თუ ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შექმნილი გვაქვს პოზიტიურ და კეთილგანწყობილ გარემო. ვცდილობთ მოსწავლე იყო დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. აღნიშნეს კათედრის წევრებმა, ამასთანავე გამოხატეს მზაობა მომავალშიც სასწავლო პროცესი ანალოგიური მიდგომებით წარმართონ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - -მოსწავლეების პიროვნული და ფსიქო - სოციალური განვითარების მხარდაჭერაზე ორიენტირებულია ის სასწავლო რესურსები და საგანმანათლებლო აქტივობები, რომლებიც არის ასახული კურიკულუმში. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მასწავლებლებთან ინტერვიუირების პროცესში გამოიკვეთა მათ შორის თანამშრომლობის მაღალი ხარისხი, რაც იმით მტკიცდება რომ სხვადასხვა საგნის მასწავლებლებმა იცოდნენ და აკეთებდნენ უკუკავშირს ერთმანეთის მიერ განხორციელებულ აქტივობებსა და სასაწავლო პროექტებზე.

**სახელმწიფო ენა-** წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, თემატური ერთეულები, დავალების შესრულებისას გადასაჭრელი და გასაანალიზებელი პრობლემები, კონკრეტული საგნობრივი საკითხები, განსახორციელებელი აქტივობები, კონტექსტმაგალითები, შეძლებისდაგვარად მორგებულია მოსწავლეთა კონკრეტული ასაკისათვის დამახასიათებელ ფსიქო-სოციალური განვითარების დონეს.

**ესთეტიკური აღზრდა-** კურიკულუმის დანართებში ჩანს ესთეტიკის კათედრის მიერ განხორციელებული პროექტების და საკლუბო მუშაობის ისტორია, საგნობრივი კონტექსტები და მრავალფეროვანი მაგალითები, 2023-2024 წ. სასკოლო სასწავლო გეგმა, მომავალი წლის ძირითად ამოცანებში, განსაზღვრავს საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირებას, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენას,მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარებას, აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობას და საფუძვლების შექმნა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის ან შრომითი საქმიანობისთვის.

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საგნობრივი კონტექსტები სრულად ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული თემები და მათ დასაფარად შერჩეული საკითხები/ქვესაკითხები/კომპელქსური დავალებები წარმოადგენს მოსწავლისთვის ნაცნობ შინაარსიან კონტექსტს, რომელიც ახდენს მის შინაგანი ძალების გააქტიურებას. უზრუნველყოფს მის აქტიურ ჩართულობას, რაც დავალებაზე მუშაობის პროცესში იწვევს მის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. პედაგოგი ხშირად უსვამს შეკითხვას მოსწავლეს თუ რა გაუძნელდა ან რა მოეწონა დავალებაზე მუშაობისას, რისი ცოდნა დაეხმარა მას დასკვნების გაკეთებაში. მოსწავლეს არ აქვს შეცდომით შესრულებულ დავალებაზე საყვედურის მიღების შიში, რაც მას უძლიერებს თვითშეფასებას და მიკუთვნებულობას სასკოლო საზოგადოების მიმართ. მოსწავლეთა საჭიროებების საპასუხოდ დაგეგმილი ღონისძიებები, აქტივობები ეხმარება მოსწავლეებს, რომ მათ შეძლონ საკუთარი ემოციების, ძლიერი და სუსტი მხარეების ამოცნობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**უცხოური ენები** - სწავლა მიმართულია მოსწავლის არა მხოლოდ ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს განვითარებაზე, არამედ ხელს უწყობს სოციო-ემოციური სფეროს კეთილდღეობას. სკოლაში საგნობრივი სწავლება ორიენტირებულია თვითცნობიერების, თვითრეგულაციის, სოციალური ცნობიერების, ურთიერთობისა და პაუხისმგებლობის უნარების განვითარებაზე. მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებაში გვეხმარება ინდივიდუალური, წყვილებში და ჯგუფური სამუშაოები, სასკოლო პროექტი, კლუბები, სასწავლო ექსკურსიები, კომპლექსური დავალებები, პრეზენტაციები და სხვა. კომპლექსური დავალების და სხვა აქტივობების პრეზენტაციისას უმნიშვნელოვანესია მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები ინდივიდუალური, ჯგუფური თუ წყვილებში მუშაობისას.

**სპორტი** - პედაგოგთან გასაუბრების შედეგად ვლინდება რომ, საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობები , მათ შორის არაფორმალური განათლების კუთხითაც და წარმოდგენილ კურიკულუმებში შეტანილი რესურსი უზრუნველყოფს ფიზიკური უნარებისა და ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის უნარების განვითარებას. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ განვითარებასა და მათ სულიერ კეთილდღეობას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **ექსპერტებთან გასაუბრების დროს** დაადასტურეს პედაგოგებმა, სასწავლო პროცესში მოსწავლეებს აფასებენ არა მარტო აკადემიური მიღწევის დონით, არამედ სხვადასხვა უნარების მიხედვით. შეფასებასც შესაბამისად მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. მოსწავლის ჰოლისტური შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სკოლას შესაბამისად წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები. კომპლექსური დავალების შესრულებისას ვიყენებთ შეფასების „ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას" აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს და გამოხატეს მზაობა მომავალშიც გააგრძელონ ანალოგიურად მოსწავლის შეფასება. როგორც გამოიკვეთა, მათ სრულად აქვთ გაზიარებული თუ რატომ არის საჭირო მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა და მათ შორის შეფასების რუბრიკებში ამის ასახვა, მაგრამ თავადაც აღნიშნეს რომ ამ მიმართულებით ისინი განაგრძობენ ერთობლივ მუშაობას. სასკოლო კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, აღნიშნულს რუბრიკებში ჩანს ჰოლისტური მიდგომის მხარდაჭერა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობის, სამართლიანობის მიმართულებით აღვნიშნავ, რომ მნიშვნელოვანია თითოეული შეფასების რუბრიკაში (განმსაზღვრელი და განმავითარებელი) ნათლად ჩანდეს თითოეული მათგანი. ექსპერტები აღნოშნავენ, რომ ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა, როდესაც აღწერეს თუ როგორ ამზადებენ და იყენებენ შეფასების რუბრიკებს და როგორ აწვდიან მოსწავლეებს მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მოსწავლეთა დავალებების და აქტივობების შეფასებებს, გამოჩნდა რომ გააზრებული აქვთ შეფასების სისტემის დახვეწის საჭიროება იმგვარად რომ თითოეული მოსწავლისთვის, მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის ცხადი გახდეს რომ გამოყენებული შეფასების რუბრიკები უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას, სამართლიანობას. პედაგოგთა თქმით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მოსწავლეები შეძლებისდაგვარად გათვითცნობიერებულნი არიან შეფასების მიზნობრიობაში, რადგან იცნობენ შეფასების კრიტერიუმებს. კომპლექსური დავალებებისთვის და შეფასების რუბრიკებისთვის სამომავლოდ შემუშავდება ისეთი შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე შეფასების სისტემის დანერგვას შეუწყობს ხელს. პედაგოგები შეეცდებიან თავიანთი პრაქტიკული გამოცდილება დახვეწონ ამ კუთხით და შეფასების სისტემა გამოიყენონ მოსწავლეთა ცოდნის დონისა და სწავლის პროცესის, სამიზნე ცნებების გაცნობიერებისა და გათავისების დინამიკის განსასაზღვრად.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. ექსპერტები ასკვნიან, რომ სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემის, სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ვერიფიკაციის მექანიზმი. ვერიფიკაციას სკოლა ძირითადად სამი მიმართულებით ახორციელებს: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. დოკუმენტში გაწერილია ვერიფიკაციის პროცესის განხორციელების პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა, სრტუქტურა და შინაარსი, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესი და პროცედურა.ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა აქვს მზაობა იმუშაობს შეფასების ვერიფიკაციის სისტემის გამართვასა და გავითარებაზე. წარმოდგენილი შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს, ვადებსა და პირობებს. კათედრაზე წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე ფასდება მოსწავლეთა ნამუშევრები. მასწავლებლები იცნობენ, თუმცა ჯერ არ აქვთ დანერგილი ავტორიზაციის ფარგლებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნიმუშების სახით მიწოდებული შეფასების ინსტრუმენტები. მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გამოცდილება არსებობს როგორც კათედრაზე მუშაობის, ასევე ხარისხის ჯგუფის მუშაობის ფარგლებში, რაც იმის წინაპირობაა, რომ ვერიფიკაციის მექანიზმი იქნება რელევანტური.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

6. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები, კერძოდ მოსწავლის პირადი საქმეები შენახულია სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე., საქმისმწარმოებელის პასუხისმგებლობით. მიმდინარე და კომპლექსური დავალებების შეფასებები ინახება კათედრაზე, კათედრის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის ქვეშ. სკოლა პასუხისმგებლობით ეკიდება სასკოლო დოკუმენტაციის წარმოებას და შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს, რომლის მიხედვითაც მოსწავლეთა პირადი საქმეები ბრძანებები, კლასის, საფეხურის დაძლევის შესახებ ინახება სკოლის კანცელარიაში. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საფეხურის დაძლევის ბრძანება ;
- განსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ;
- სასკოლო კურიკულუმი.
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი
- მასწავლებლის პორტფოლიო
- მასწავლებლებთან ინტერვიუ
- ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა;

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ექსპერტები, კათედრის წევრებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ასკვნიან, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი გარემო. სკოლის მიერ შეთავაზებული სასწავლო თუ არაფორმალური განათლებისთვის განკუთვნილი აქტივობები განკუთვნილია იმისთვის, რომ მოსწავლეებს ხელი შეეწყოთ საკუთარი პოტენციალის განვითარებასა და რეალიზებაში. სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც მუდმივად ზრუნავს მასწავლებელთა განვითარებაზე სწორი უკუკავშირებითა და რეფლექსიით. ასევე სკოლაში მოქმედებს ადაპტაციის წესი. დაფუძნებულია თანამშრომლობითი კულტურა, რაც გამოხატულია სხვადასხვა ღონისძიებებში თუ პროექტებში ერთობლივი ჩართულობით, გამოცდილების გაზიარებით, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის ფარგლებში ურთიერთდასწრებებზე მიცემული რეკომენდაციებით.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით გაწერილი და წარმოდგენილი კურიკულუმები, რომლებიც შემუშავებულია სამიზნე ცნებებზე ორიენტირით და შესაბამისი კომპლექსური დავალებები, პროექტებში და ღონისძიებებში მონაწილეობა, ქმნის საფუძველს დავასკვნათ რომ სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებულად. მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მონაწილეობა ოლიმპიადებში, მოსწავლეთა ნაშრომები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის. განსაკუთრებული როლი ენიჭება სკოლაში, როგორც ფორმალურ განათლებას, ასევე არაფორმალურ განათლებას, განაცხადეს კათედრის წევრებმა ექსპერტებთან გასაუბრების დროს.ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან, სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული. (დასტურდება ფოტომასალით, სიგელებით, სკოლის ფეისბუქ გვერდზე განთავსებული აქტივობებით), სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომი ხდება მოსწავლეებისთვის., მასწავლებლები საკლასაო ოთახებში უზრუნველყოფენ რესურსის შესაბამისი ექსპერიმენტების ჩატარებას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დამაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლაში სკოლაში დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა განაპირობებს სასწავლო პროცესში თანამშრომლობითი პრინციპების დაცვას, რაც დასტურდება კათედრის, სამეურვეო საბჭოს, მოსწავლეთა თვითმართველობის სხდომები და მშობელთა კრებების ჩატარებითა და საქმიანი ურთიერთობებით. სკოლის სტრუქტურული ერთეულები, ჩანს, მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან; პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ ტრენინგებზე მიღებულ გამოცდილებას.მშობლებს აქვთ ინფორმაცია საბაზო საფეხურზე ჩატარებული სპორტულ ფესტივალის შინაარსის შესახებ. სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებასა და სასკოლო თემის ჩართულობას პროექტებში მონაწილეობით, რაც დადებითად აისახება თანამშრომლობითი კულტურის დანერგვაზე. დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო გეგმით და ამყარებს პედაგოგებთან გასაუბრება,

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. ექსპერტები, კათედრის წევრებთან გასაუბრების საფუძველზე, ასევე, მოსწავლეთა მიერ სასწავლო პროცესში შექმნილი საინტერესო პოსტერების გაანალიზებით ასკვნიან, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი; სკოლის შინაგანაწესის, სკოლის მართვის პოლიტიკის დოკუმენტებისა თუ სკოლის სტრუქტურული ერთეულების შინაარსი ორიენტირებულია საკლასო და სასკოლო პოზიტიური კლიმატის შექმნაზე. საგანმანათლებლო გარემო ორიენტირებულია თავისუფალი აზრის დაფიქსირებაზე ,რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სასკოლო საზოგადოებას სკოლისადმი მიკუთვნელობის განცდა ჰქონდეს. სკოლის დირექცია, თანამშრომლები, პედაგოგები სკოლაში ქმნიან უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოს. ბავშვების ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება თემატური ღონისძიებები, არაფორმალური აქტივობები, ხორციელდება სხვადასხვა პროექტები. მოსწავლეები ჩართულნი არიან ერთობლივ სასკოლო ღონისძიებებში.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- კურიკულუმის-მეთოდოლოგია;
- მოსწავლის-გარემოსთან-ადაპტაციის-დებულება;
- მშობელთან ურთიერთობის დებულების კომუნიკაციის დამტკიცების შესახებ;
- ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- შინაგანაწესი;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მასწავლებლის პორტფოლიო
- საზოგადოებასთან ურთიერთობა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**
**2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პირველადი ავტორიზაციის დროს ვერ შეფასდება სკოლა მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს თუ არა მონოიტორინგსა და შეფასებას მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, გაწერილია სასწავლო პროცესის მონიტორინგის და შეფასების მეთოდები, პრინციპები. სკოლაში არსებოს მონიტორინგის ფორმა, რომელიც ხორციელდება ხარისხის ჯგუფისა და კათედრების მიერ, განმავითარებელი რუბრიკის შესაბამისად, აღნიშნეს კათედრის წევრებმა ექსპერტებთან გასაუბრების დროს. მონიტორინგი მიმდინარეობს საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, შემდეგ მასწავლებელს აძლევენ კონსტრუქციულ უკუკავშირს. წერენ რეფლექსიებს, ხდება სუსტი და ძლიერი მხარეების გამოკვეთა იდენტიფიცირებული პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, დაადასურეს კათედრის წევრებმა გასაუბრებისას, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ხდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე მსჯელობა სუსტი მხარეების დადგენისა და მათი მოგვარების გზების დროულად აღმოჩენისთვის. აქტიურად ხორციელდება მასწავლებელთა მიერ დაგეგმილ გაკვეთილებზე დასწრება, შეფასება, რეკომენდაციების მიცემა, აქტიურად მუშაობს „კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტი. მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია, აღნიშნეს მათ.

   **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას**

2. სკოლაში სასწავლო პროცესის მონიტორინგს და შეფასებას ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც კათედრებთან ერთად ეხმარება სასკოლო საზოგადოებას საჭიროებების გამოვლენასა და პრობლემების იდენტიფიცირებაში, არსებული პრობლემების აღმოფხვრის გზების ძიებასა და დადგენაში, ეს პროცესები მიმდინარეობს არსებული სიტუაციების ანალიზისა და უკუკავშირის საფუძველზე. სკოლა არ იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელში და გათვითცნობიერებული აქვს პასუხისმგებლობა სირთულეების დაძლევის მიმართულებით, რომელიც მხოლოდ სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებაზეა ორიენტირებული. მასწავლებლის საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა სასწავლო პროცესის განუყოველ ნაწილია, აღნიშნეს კათედრის წევრებმა ექსპერტებთან გასაუბრებისას, ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ საგნობრივ კათედრებსაც.ამ ეტაპზე სკოლაში არ არსებობს სადიაგნოსტიკო შეფასების ჩატარების ტრადიცია თუმცა არსებობს პედაგოგთა მზაობა დიაგნოსტირების სწორად წარმართვისთვის, რომლისთვისაც პირველი ინსტრუმენტია შერჩეული-კომპლ.დავალება.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. მონიტორინგი და შეფასება, რომელიც სკოლაში მიმდინარეობს ტარდება შეთანხმებული ფორმატით, წარმოდგენილი ვადებით და შეფასების ინსტრუმენტებით და შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება და სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და მიმართულია სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის და განსზღვრავს წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზას და საშუალებას, დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრებისას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- კურიკულუმის-მეთოდოლოგია;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა;
- სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი.
- პედაგოგთა ურთიერთდასწრების ფორმა/რეფლექსიის ნიმუშები.

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. გასაუბრების პროცესში კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ შეფასება სასწავლო პროცესში ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, კერძოდ, მიმდინარეობს გამოკითხვა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვებით, ვიღებთ კოლეგებისგან უკუკავშირს, ხორციელდება ინფორმაციების მიღება კლასის დამრიგებლისაგან, მშობლისგან, თანაკლასელისგან, მასწავლებლის, კათედრის თავმჯდომარის, ურთიერთდაკვირვებისა და დასწრების ,მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფისაგან სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ..სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევების, შეფასების ვალიდურობისთვის ინფორმაციის მოპოვებისას სკოლა ეყრდნობა სხვადასხვა მონაცემებს. მაგ. სასკოლო საზოგადოების წევრებისგან, მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მოწოდებულ მოსაზრებებსა და ინფორმაციას. ასევე სხვადასხვა დოკუმენტურ, სტატისტიკური ტიპის რესურსებს. პედაგოგები აქამდე ეყრდნობოდნენ მასწავლებლის მეთოდური ლიტერატურაში არსებულ განმსაზღვრელ და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. ამჟამად ასევე კარგად იცნობენ სამინისტროს მიერ შეთავაზებულ შეფასების მექანიზმებს და შედგენილი აქვთ შეფასების რამდენიმე რუბრიკა.. შეფასების ეს ფორმები ითვალისწინებს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მაგრამ, აღნიშნული ინსტრუმენტები ინერგება 2023-2024 სასწ.წელს პედაგოგთა თქმით გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებს ეცოდინებათ თუ რომელ კომპონენტში რომელი კრიტერიუმით შეფასდებიან. შეფასება ხორციელდება როგორც წერილობით, ისე ზეპირსიტყვიერად. ფასდებოდა ჩართულობის, თანამშრომლობის, პრეზენტირების უნარები რუბრიკებით. პედაგოგები იცნობენ შეფასების ახალ ინსტრუმენტების შექმნის სქემას/წესს, რომელთა გამოყენებასაც გეგმავენ წლის განმავლობაში.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, კერძოდ, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობით, ასევე დისკუსიაში, ჯგუფურ თუ ინდივიდუალურ მუშაობაში მონაწილეობის თვალსაზრისით, პრეზენტაციის წარმართვისას და ა. შ. ასევე პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებების, შესრულების პროცესზე დაკვირვებას, აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს ასევე, პედაგოგები საკუთარი პედაგოგიკური გამოცდილების ანალიზისას და მოსწავლის შეფასებისას, მასზე დასაკვირვებლად ითვალისწინებენ განსხვავებულ კონტექსტებს. ეს შეიძლება იყოს საკლასო გარემო, აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, პიროვნული გამოცდილება და ინტერესები. სკოლა გეგმავს ჰოლისტური შეფასების მეტი ინტენსივობით გამოყენების კულტურის დამკვიდრებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემთა მიზნობრივი შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს. სკოლაში განხორციელებული საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების, პროექტების შეფასება ხდება შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან.აღნიშნულის განხორციელება ხდება: კლასის საათის ფარგლებში მოსწავლეთა გამოკითხვთ, მათი შეხედულებების და ხედვების დასადგენად, ასევე მშობელთა კრებებზე ხდება პრობლემური საკითხების განხილვა და ამ პრობლემების მოგვარების გზების ერთობლივად დასახვა.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლაში შეფასება ხორციელდება ჩართულობის, ურთიერთანამშრომლობის, შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ფაქტორების, პირადი და სოციალური ფაქტორების ინდივიდუალური განსხვავებების ფაქტორების გათვალისწინებით.კათედრის პედაგოგები თანამშრომლობენ მშობლებთან, დამრიგებელთან და კლასის სხვა პედაგოგებთან. მოსწავლის შეფასებისას მასწავლებელი ცდილობს სრულყოფილი სურათი შეიქმნას მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შესახებ. რაც შეიძლება გაპირობებული იყოს მისი პიროვნული უნარებითა და აკადემიური შესაძლებლობებით.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო კურიკულუმები;
- კურიკულუმის-მეთოდოლოგია;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა;
- სტრუქტურული ერთეულების აღწერა,საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი;
- დამრიგებლის ანგარიში;
- მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრა ;
- შეფასების რუბრიკები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- რეფლექსია;
- ურთიერთდასწრების ფორმა ;
- მშობელთა კრების ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

#### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. საგნობრივ ექსპერტებთან გასაუბრების დროს, კათედრის წევრებმა დაადასტურეს, რომ კურიკულუმის შემუშავების და განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის და კათედრებთან მათი კოორდინირებულ მუშაობის შედეგად მიღებულ დასკვნებს და მიგნებებს. მიმდინარე ან წინა წლის განვლილი სასწავლო პროცესების შეფასების და გაანალიზების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად, რომლებსაც ითვალისწინებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის გაასახლებლად და განახლებული კურიკულუმის შემუშავებისას, ამის დასტურია თუნდაც წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები.სკოლა უფრო მიზნობრივად გეგმავს შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისთვის, სადაც გათვალისწინებული იქნება დაგროვილი გამოცდილება, SWOT ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილის, კომპლექსური დავალების, პროექტის რეფლექსიები, რამდენად გაუმჯობესდა წინა სასწავლო წელთან შედარებით მოსწავლეთა შედეგები, რა უშლიდა ხელს ან უწყობდა ხელს მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესებას. ეს ყველაფერი გათვალისწინებული იქნება მომდევნო წლის კურიკულუმში.

**ინდიკატორის მოთხოვნები დამაყოფილებულია**

2. კათედრის წევრებმა ექსპერტებთან გასაუბრების დროს დაადასტურეს, განახლებული კურიკულუმები შემუშავება დაფუძნებულია განვლილი წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის და განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების შედეგებზე. ასეთი ვალდებულება გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ და დამტკიცებულ დოკუმენტებში და სკოლის სასწავლო პროცესის განუყოფელ და მნიშვნელოვან პროცესს წარმოადგენს.მომდევნო სასწავლო წლიდან გეგმება ამ პროცესებს მიეცეს დოკუმენტის სახე, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი, სასკოლო კურიკულუმზე მომუშავე პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქცია-მოვალეობანი. განხორციელდება მონიტორინგი და მოხდება მიღებული შედეგების **შეფასება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-** შექმნილი კურიკულუმი პირველადი სახითაა წარმოდგენილი და არ არის გადამუშავებული ვერსია. თუმცა პედაგოგთა თქმით, ის ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს სკოლაში ამ ეტაპზე მოქმედი მექანიზმებით მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. თუმცა, ახალი სასწავლო წლიდან ამოქმედებას დაიწყებს ესგ-ს დანერგვის ახალი სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, რომლის შედეგები გახდება სამომავლოდ კურიკულუმის რევიზირების საფუძველი. პედაგოგებთან გასაუბრებამ ცხადყო ამ მიმართულებით მათი დამაკმაყოფილებელი მზაობა.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- კურიკულუმის-მეთოდოლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა;
- სკოლის-განვითარების-სტრატეგიული-გეგმა;
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- კათედრის ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
| --- | --- |
| სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი) | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.1<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.2<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.3<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.4<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. სასკოლო კურიკულუმი
### 2.1. კურიკულუმის შემუშავება
### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში, ,,სასკოლო კურიკულუმი(შემუშავებისა და განვითარები ს მეთოდოლოგია)"წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული მხარეების შესაძლებლობის შესახებ ვალდებულება და ეფუძნება კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების შემდეგ პრინციპს: „კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს." - ვკითხულობთ დოკუმენტში, რაც ადასტურებს რომ კურიკულუმის მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. ამ შესაძლებლობის რეალურად განხორციელების დასტურად კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში აქტიურად ვიყავით ჩართულები როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლები, ასევე პედაგოგები. კლასის დამრიგებლებთან თანამშრომლობით კი ხორციელდებოდა მშობლებთან და მოსწავლეებთან სამუშაო შეხვედრები. ამ შეხვედრებზე განიხილებოდა კურიკულუმის პროექტი, რომლის დროსაც ვითვალისწინებდით მათ ინტერესებს, შესაძლებლობებს და პრიორიტეტებს, რომლის უფლებაც განსაზღვრული გვქონდა დოკუმენტით „სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია)".

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მნიშვნელოვანია რომ, სკოლაში, სხვადასხვა კათედრის წევრები გამოხატავენ მზაობას მომავალ წლებშიც კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნება სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ინტერესები და პრიორიტეტები. კათედრაზე კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და მასწავლებლები საშუალო საფეხურის პროექტული სწავლების კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. წარმოდგენილი საგნების პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს.

**ინდიკატორის მოთხვნები დაკმაყოფილებულია**

2. საგნობრივი ექსპერტები ადასტურებენ, სასკოლო კურიკულუმში, რომელიც სკოლამ წარმოადგინა, წარმოდგენილია და კათედრის წევრებთან გასაუბრების დროსაც დადასტურდა, რომ მასში გათალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. განსაკუთრებით გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები, სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია, თუ როგორ (რა საშუალებებით) ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. კათედრებზე კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედის წევრებთან თანამშრომლობით, განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით.სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში შერჩეული მრავალფეროვანი სასწავლო პრაქტიკული და თეორიული შინაარსის თემებით გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, მათი შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებები.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლები ერთობლივად მუშაობდნენ კურიკულუმის შექმნაზე, მუშაობის დროს ითვალისწინებდნენ გასული წლების შედეგებს და გამოცდილებას. კურიკულუმის შემუშავების პროცესი აღწერილია კათედრებზე. ინტერვიუდან ირკვევა, რომ კომპლექსური დავალებების შერჩევისას, კათედრის თითოეულმა წევრმა მიიღო მონაწილეობა, გარდა ამისა, გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ინტერესები და მზაობა.კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულიბას ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტები, სასკოლო სასწავლო გეგმა შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან, ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო და დირექტორი. კურიკულუმების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას ადასტურებს აგრეთვე პედსაბჭოს , სამეურვეო საბჭოს , კათედრის სხდომის ოქმებიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. კურიკულუმების გაზიარება ხორციელდება როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალურად; სკოლაში საინფორმაციო დაფაზე, საკლასო ოთახში, სხვადასხვა სამუშაო შეხვედრებზე, სკოლის Facebook-ის გვერდზე. მშობლებთან გაზიარება ხორციელდება აგრეთვე „მშობლის ბარათები“ -ის საშუალებით. ასევე ვიყენებთ teams პლატფორმას და ელექტრონული ფოსტას, აღნიშნეს კათედრის წევრებმა ექსპერტებთან გასაუბრების დროს. საზოგადოების მხრიდან უკუკავშირის მისაღებად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა ზეპირი/სიტყვიერი ფორმა. გასაუბრების დროს აგრეთვე გამოიკვეთა, რომ შექმნილი კურიკულუმების ფარგლებში დაგეგმილი ფესტივალები , არაფორმალური განათლებისა და საერთო სასკოლო აქტივობებში ჩართულობის შესახებ ინფორმაციას იზიარებს სასკოლო საზოგადოებაც.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა (2022-2023 და 2023-2024 სასწავლო წლების),
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- მშობლის ინფორმირების წესი;
- ინტერვიუ მასწავლებელთან
- მშობელთა კრების ოქმი,
- Facebook გვერდის მისამართი;
- გასასვლელი ბარათი
- მშობელთან ურთიერთობის დებულების კომუნიკაციის დამტკიცების შესახებ;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჯგუფი;
- სტრატეგიული დანერგვის მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული ჯგუფის ოქმი;
- სკოლის-განვითარების-სტრატეგიული-გეგმა-საბოლოო;
- ეკო კლუბის დებულება
- ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და მიმართულია საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. საშუალო საფეხურზე მმდინარეობს რიგ საგნებში პროექტული სწავლება, წარმოდგენილ კურიკულუმში მოცემული თემები და პროექტები ეყრდნობა მოსწავლეთა და პედაგოგთა წინა გამოცდილებას და პრაქტიკას, განისაზღვრება როგორც საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი, შესაბამისად წარმოდგენილი კურიოუკულუმის ჩარჩო შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებასა და შედეგზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და განსაზღვრავს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა სწავლების პროცესში. რაც მთავარია, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესიის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც შუალედური მიზანზე გასვლით, ემსახურება გრძელვადიანი მიზანზე გასვლას და აგებულია მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესებიდან გამომდინარე.სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის მზაობა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობები, უნარები და ინტერესები, რაც დასტურია იმისა, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. ექსპერტები ადასტურებენ, რომ სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, საგნებში უმეტესწილად სწორადაა განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები. შერჩეული კომპლექსური დავალებების დამუშავება შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეს განუვითარდეს ფუნქციურ-კომპონენტური უნარები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, როგორ შეიძლება ამ უნარების განვითარება კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შედეგად. განსაზღვრულია კომპლექსური დავალებების იდეები.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის პროექტული სწავლების დოკუმენტი თანახმად სსსმ მოსწავლეებისთვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სადაც განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის იდენტური თემები და საკითხები. საფეხურის კურიკულუმის დაგეგმვის დოკუმენტი მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო პროგრამაზე ორიენტირდება, პედაგოგებთან გასაუბრებით ასევე დადგინდა რომ, დამუშავებული თემების და საკითხების და განვლილი გამოცდილების, მოსწავლეთა შესაძლებლობების, პოტენციალის და საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ დიფერენცირებულ მიდგომებს. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება მოახდინონ დავალებების ადაპტირება.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელთა გაანალიზებისას დასტურდება, რომ შეფასება ეყრდნობა სტანდარტის მკვიდრ წარმოდგენებსა და შედეგებს და მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. განმავითარებელი კომენტარით აღწერთ, მოსწავლეთა განვითარების დინამიკას, ხოლო განმსაზღრვრელი შეფასებით საგნობრივი სტანდარტის შედეგის მიღწევის დონეს. კათედრის წევრებმა გასაუბრების პროცესში გამოხატეს მზაობა, მომავალშიც შექმნან მოსწავლის პროგრესის დიაგნოსტირებისათვის შეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკები, რომელიც განსაზღვრავს მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრესის დიაგნოსტირებას და მნიშვნელოვანია, რომ შეფასების რუბრიკების შედგენა განხორციელდება მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით.განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებად სკოლაში იყენებენ დიახ და არა ბარათებს, შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს, განმავითარებელი შეფასების კომენტარს.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. ექსპერტების დასვნით, სხვადასხვა კათედრის წევრებმა აღნიშნეს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ყურადღებას ამახვილებენ წინარე გამოცდილებაზე და ამ გამოცდილების ანალიზზე. კათედრის სხდომებზე ვისმენთ პედაგოგების ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ, ასევე ვიხილავთ შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზებს, რის შედეგადაც იკვეთება როგორც მასწავლებლის , ასევე მოსწავლეების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. ვღებულობთ დასკვნებს და მიგნებებს და მათ საფუძველზე შევიმუშავებთ კურიკულუმებს, პროექტებს თუ აქტივობებს - დაადასტურეს პედაგოგებმა და გამოხატეს მზაობა რევიზირებული კურიკულუმის შექმნის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზის გათვალისწინების შესახებ.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- კურიკულუმის-მეთოდოლოგია
- მათემატიკის შემაჯამებელი ოქმი
- განმავითარებელი შეფასება მე 10 კლასი მათემატიკა;
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- სამუშაო ჯგუფის (ისგ) ოქმი N1;
- მათემატიკის საბუნებისმეტყველო ისტ კათედრის ოქმი;
- დამრიგებლის ანგარიში;
- შემაჯამებლის ანალიზის ფორმა,
- სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი.
- განმავითრებელი შეფასების ფორმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინტერვიუ მასწავლებელთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2. კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში განსაზღრული კომპლექსური დავალებები და ამ დავალებების შესრულების ეტაპები და ნაბიჯები აიძულებს მოსწავლეებს დააფიქროს შემოქმედებითი უნარების გააქტიურებაზე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რათა შექმნან საბოლოო სასურველი პროდუქტი. ასევე სხვადასხვა პროექტების თუ აქტივობების გახორციელება შესაძლებელს ხდის მოსწავლეები ჩაერთონ აქტიურ შემოქმედებით პროცესში. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია სკოლაში ჩატარებული ინტელექტუალური შეჯიბრებები, აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს და გამოხატეს მზაობა უფრო ინტესიურად დაგეგმონ მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით და ჩართულობით მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეებს მისცემს შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. საშუალო საფეხურზე, რიგ საგნებში პროექტული სწავლებაა დანერგილი, წარმოდენილი პროექტული სწავლების კურიკულუმის ჩარჩო განაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში, მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა - ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით და ასევე შეიძნოს პროექტის წარმართვის გამოცდილება. რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მთავარი შესაძლებლობების- შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

პედაგოგებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; შერჩეული კომპლექსური დავალებები გააზრებული აქვს პედაგოგს, როგორც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართვისა. პედაგოგები იყენებენ კოგნიტურ სქემებს, პრაქტიკულად ამზადებენ სხვადასხვა ნივთიერებებს ორივე საფეხურის -საბაზო და საშუალო მოსწავლეების თანამონაწილეობით. მაგ: ფერადი კოქტეილი.

სკოლაში მუშაობს ეკოკლუბი; მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა პროექტებში. მაგ: ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის ფარგლებში რამდენჯერმე მოიპოვეს წარმატება და სკოლა დაჯილდოვდა ფულადი და მატერიალური პრიზებით, რომელიც მიზნობრივად მოხმარდა სკოლას. სკოლამ განახორციელა პროექტი „ჩემი ჯანმრთელობა"-ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით. ჩართული იყო ყველა საგანი, მათ შორის ქიმია/ბუნებისმეტყველება ქიმია/ბიოლოგია/მე და საზ. განახორციელა ერთობლივი პროექტი- თემა " ნაცარი", ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის, რომლის ფარგლებში გააკეთეს ბოსტანი და მწვანილი გადასცეს საჩუქრად საბავშვო ბაღს, რათა ადრეული ასაკიდან მიაჩვიონ ჯანსაღი ცხ. წესს. ჩირის პოპულარიზაციისთვის სოფელში კვლევა ჩაატარეს. გამოირკვა რომ უმეტესად დაკონსერვებულს იყენებდნენ და წამოწიეს წინ ჩირის დამზადების იდეა ჯანსაღ კვებასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებისთვის. 3) პროექტი-ჩაი და ქველმოქმედება,(ქიმია-ბიოლ) ბავშვებმა ჩაი დაკრიფეს, გაყიდეს და ერთ-ერთ შშმ პირს შეუძინეს საჩუქრად მისთვის სასურველი წიგნების კრებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის. ახალი ცოდნის კონსტრუირება გარკვეულწილად ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები და მათ ფარგლებში განსახილველი საკითხები ისე გაწერილი, რომ მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებზე დაყრდნობით წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, გააზრებაში და კონსტრუირებაში. პედაგოგებს არ აქვთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დიდი გამოცდილება, მაგრამ რაიონის სხვა სკოლის პედაგოგებთან თანამშრომლობით, რომელთაც საკმაო გამოცდილება აქვთ ამ კუთხით, იცნობენ კომპლექსური დავალების განხორციელების გზებს და შესაბამისად გეგმავენ მის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოების ანალიზი და კათედრებთან გასაუბრება ექსპერტებს აფიქრებინებს, რომ სკოლაში, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, რაც გულისხმობს მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლის მართვის გაცნობიერებას, მოსწავლეთა განმავითარებელ შეფასებასა და თვითშეფასებას. მაგ. კომპლექსური დავალებების შექმნა ცხოვრებისეული მაგალითების გამოყენებით. სხვადასხვა შეფასების რუბრიკები და განხორციელებული საგაკვეთილო პროექტები. ასეთი მუშაობის პროცესი მოსწავლეს აფიქრებს რა ცოდნა აქვს მიღებული, რა უნდა გააერთიანოს და გამოიყენოს პრაქტიკაში და ამის შემდეგ შექმნას ახალი პროდუქტი. მოსწავლე აკეთებს თვითშეფასებას, რაც ხელს უწყობს მომავალი საქმიანობის დაგეგმვასა და განხორციელებას. მაგალითად დაასახელეს სტრატეგიები: შესასწავლ საკითხში მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამოყოფა, ჩანაწერის გაკეთება, მარკირება, შეჯამება, საკითხის მისი სიტყვებით გადმოცემა, მთლიანი მასალის ნაწილებად დაყოფა და მათი სწავლა ნაწილ-ნაწილ და ა შ. ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ჰქონდეთ მოსწავლეებს საკუთარი თავის რწმენა და არ შეუშინდნენ სირთულეებს, იფიქრონ პრობლემების მოგვარებაზე და ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიებაზე.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. წარმოდგენილი ჩარჩო, შერჩეული კომპლექსური დავალებები , მასწავლებლებთან სწავლა-სწავლების საკვანძო საკითხებზე საუბარი გამოკვეთს, რომ სასწავლო პასუხობს კონსტრუქტივიზმის პარადიგმის ამ პუნქტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსური დავალებების ეტაპების /ნაბიჯების განხილვისას გასაუბრების დროს იკვეთება, რომ შეთავაზებული კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეებს მოუწევთ როგორც ფაქტობრივი ცოდნის დაუფლება, ასევე პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება, ინფორმაციის მოძიება, ანალიზი, თეორიული მასალის ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირება, მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება. პროექტული ტიპის სწავლება მოიცავს ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებაზე მუშაობასცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ კომპლექსურ დავალებებსა და სასკოლო თუ არაფორმალურ აქტივობებში.მასწავლებლებმა, ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ დამუშავებული დავალებები სხვადასხვა უნარის გააქტიურებაზეა ორიენტირებული, და ფაქტობრივი - დეკლარატიული ცოდნის ფლობის ხარისხის შემოწმების გარდა მიზნად ისახავს პროცედურული და პირობისეული ცოდნების ფლობის ხარისხის შემოწმებას, რაც აქვთ ასახული შეფასების რუბრიკებში.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში მნიშვნელოვნად არის ასახული მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ესგ-ს მიხედვით შედგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები გვაძლევს საგნობრივი კომპონენტების ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას და უზრუნველყოფს სასწავლო მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნასთან, ინტერესსა და წარმოდგენებთან. საგნობრივ კურიკულუმში ჩანს მოსწავლის ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ეს პროცესი აგებულია მატრიცების მეშვეობით კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპზე პრაქტიკულად მიმდინარეობისას. ასევე ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებისას (ინტეგრირებული გაკვეთილი ხელოვნებასთან ერთად მე-4 კლასში). ეს უნარები ასევე ვითარდება არაფორმალური პროექტებითა და სადამრიგებლო საათზე განხორციელებული მუშაობით.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა (2023-2024);
- მასწავლებლის პორტფოლიო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინტერვიუ მასწავლებელთან

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **მათემატიკა** - სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კონსტრუქტივისტული მიდგომების გამოყენებით და ერვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით გრძელვადიან მიზნობრივ ორიენტირით. ამ პროცესში მუშავდება სამიზნე ცნება და სტანდარტის შედეგები. განსაზღრულია თითოეული თემისათვის მკვიდრი წარმოდგენები. კომპლექსური დავალებების დაგეგმვა და განხორციელების ვალდებულება, სწორედ რომ მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას ემსახურება, აღღნიშნეს კათედრის წევრებმა საუბრისას და გამოხატეს მზაობას ანალოგიური პრინციპებით და მიდგომებით დაგეგმონ და განახორციელონ კურიკულუმები და მის შესამაბისად სასწავლო პროცესი.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - ინტერვიუს პროცესში, მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ მათ მიერ, მოსწავლეებისთვის შეთავაზებული მრავალფეროვანი და სახალისო აქტივობები, როგორც მიმდინარე (ყოველდღიური) სწავლა - სწავლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესში, ისე სხვადასხვა სასწავლო პროექტის ფარგლებში, უზრუნველყოფს მოსწავლეების, მათი ინტერესების, საჭიროებების გათვალისწინებით ჩართულობას.

**სახელმწიფო ენა-** საშუალო საფეხურის კათედრა, პედაგოგები, სამიზნე ცნებების, თემების, სპეციფიკური საგნობრივი საკითხების, საფეხურის საკვანძო შეკითხვების ურთიერთკავშირს, განიხილავენ სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე აგების ძირითადად საგანმანათლებლო პრინციპად და საშუალებად. პედაგოგები თვლიან, რომ მოსწავლეები დროთა განმავლობაში კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შემდეგ კონკრეტული საგნობრივი საკითხების დამუშავებით შეძლებენ სამიზნე ცნებებისა და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებასა და გაცნობიერებას.

**ესთეტიკური აღზრდა-** პროექტული სწავლების კურიკულუმის ჩარჩოში მკაფიოდაა განსაზღვრული მიზანი, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები , განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები , რომლის დაძლევას/გააზრებას ემსახურება საგნობრივი საკითხი. კურიკულუმში წარმოდგენილი პროექტული დავალების იდეები, ამთლიანებს და დინამიკაში წარმართავს პროცესს.

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. შემუშავებული კურიკულუმის მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბების ხელშესაწყობად.ამას ადასტურებს შუალედური სასწავლო მიზნებიც, რომლებიც იკითხება კურიკულუმის ჩარჩოში.

**უცხოური ენები** - სამიზნე ცნებები სწავლა-სწავლების პროცესში განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას ეუფლება. სამიზნე ცნებები აზუსტებს მკვიდრ წარმოდგენებს, საკვანძო შეკითხვებს, რომელთა ერთიანობასაც უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმები შესრულებული კომპლექსური დავალებებითა და რეფლექსიებით.

**სპორტი** - სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით ( ადასტურებს წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები) ; სასწავლო პროცესი ისეთი მიდგომითაა დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, დავალების პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე ხდება ახალი ცოდნის შენება თანმიმდევრობით. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს გაუღვივებს ახალი აქტივობების გააზრებას და შესწავლას. წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები დასტურად.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **მათემატიკა** - სასწავლო პროცესში ვითვალისწინებთ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქიკურ მდგომარეობას, ინტერესებს, შესაძლებლობებს, სწავლის სტილს, უნარს, თვისებებს და სასწავლო პროცესს წარვმართავთ ყველა იმ ფაქტორების გათალისწინებით განაცხადეს პედაგოგებმა. ყოველი აქტივობა თუ დავალება ემსახურება მათ პიროვნულ თუ ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შექმნილი გვაქვს პოზიტიურ და კეთილგანწყობილ გარემო. ვცდილობთ მოსწავლე იყო დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. აღნიშნეს კათედრის წევრებმა, ამასთანავე გამოხატეს მზაობა მომავალშიც სასწავლო პროცესი ანალოგიური მიდგომებით წარმართონ.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** - სკოლას აქვს კომპლექსური დავალებების, როგორც შუალედური სასწავლო მიზნების მიღწევის გზის, გამოყენების გამოცდილება, ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს მასწავლებლებმა, რომ კომპლექსური დავლების განხორციელების თითოეული ეტაპი და ნაბიჯი ეფუძნება წინარე ცოდნაზე ახლის დაფუძნებას.

**სახელმწიფო ენა-** შერჩეული თემატური ერთეულები, დავალების შესრულებისას გადასაჭრელი და გასაანალიზებელი პრობლემები, კონკრეტული საგნობრივი საკითხები, განსახორციელებელი აქტივობები, კონტექსტმაგალითები, რომლლებიც წარმოადგინა სკოლამ და კათედრამ, შეესაბამება მოსწავლეთა კონკრეტული ასაკისათვის დამახასიათებელ ფსიქო-სოციალური განვითარების დონესა და ითვალისწინებს მოსწავლეთა განვითარების ინდივიდუალურ თავისებურებებს.

**ესთეტიკური აღზრდა-** პროექტული სწავლება სოწრედ რომ პირველ რიგში ემსახურება მოსწალვეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალური აზროვნების ჩამოყალიბება-განვითარებას, რას მკაფიოდ ჩანს პროექტული სწავლების სახვით და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩოშ. 2023-2024 წ. სასკოლო სასწავლო გეგმა მომავალი წლის ძირითად ამოცანებში, განსაზღვრავს მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მკველვარი მოქალაქის ჩამოყალიბებას, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - საგნობრივი კონტექსტები სრულად ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული თემები და მათ დასაფარად შერჩეული საკითხები/ქვესაკითხები/კომპელქსური დავალებები წარმოადგენს მოსწავლისთვის ნაცნობ შინაარსიან კონტექსტს, რომელიც ახდენს მის შინაგანი ძალების გააქტიურებას. უზრუნველყოფს მის აქტიურ ჩართულობას, რაც დავალებაზე მუშაობის პროცესში იწვევს მის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. პედაგოგი ხშირად უსვამს შეკითხვას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეს თუ რა გაუძნელდა ან რა მოეწონა დავალებაზე მუშაობისას, რისი ცოდნა დაეხმარა მას დასკვნების გაკეთებაში. მოსწავლეს არ აქვს შეცდომით შესრულებულ დავალებაზე საყვედურის მიღების შიში, რაც მას უძლიერებს თვითშეფასებას და მიკუთვნებულობას სასკოლო საზოგადოების მიმართ. მოსწავლეთა საჭიროებების საპასუხოდ დაგეგმილი ღონისძიებები, აქტივობები ეხმარება მოსწავლეებს, რომ მათ შეძლონ საკუთარი ემოციების, ძლიერი და სუსტი მხარეების ამოცნობა;

**უცხოური ენები** - სწავლა მიმართულია მოსწავლის არა მხოლოდ ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს განვითარებაზე, არამედ ხელს უწყობს სოციო-ემოციური სფეროს კეთილდღეობას. სკოლაში საგნობრივი სწავლება ორიენტირებულია თვითცნობიერების, თვითრეგულაციის, სოციალური ცნობიერების, ურთიერთობისა და პაუხისმგებლობის უნარების განვითარებაზე. სკოლაში შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ შეფასება-განვითარებაზე, ჰოლისტურ მიდგომაზე, რაც გამოიხატება მასწავლებლის და მოსწავლის ურთიერთთანამშრომლობაში. სწავლა არის მოსწავლეზე ორიენტირებადი და კონტროლირებადი. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს.

**სპორტი** - პედაგოგთან გასაუბრების შედეგად ვლინდება რომ, საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობები , მათ შორის არაფორმალური განათლების კუთხითაც და წარმოდგენილ კურიკულუმებში შეტანილი რესურსი უზრუნველყოფს ფიზიკური უნარებისა და ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის უნარების განვითარებას. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ განვითარებასა და მათ სულიერ კეთილდღეობას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. ექსპერტებსა და მასწავლებლებს შორის ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გათავისებული აქვთ, სწავლის - სწავლის მნიშვნელობა თითოეული მოსწავლისთვის, რაც გულისხმობს სწავლის სხვადასხვა მეთოდის, ტექნიკის ცოდნას და და იმის გააზრებას, თუ რომელი იქნება ყველაზე ეფექტიანი მოსწავლისთვის სხვადასხვა ფორმატის დავალების შესასრულებლად. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, ისინი სხვადასხვა ფორმის წერით დავალებას, კომბინირებულ სავარჯიშოებს და აქტივობებს სთავაზობენ მოსწავლეებს.საშუალო საფეხურზე მასწავლებლები , შემუშავებულ და შერჩეულ შეფასების ფორმებსა და ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მოსწავლეთა ჰოლისტური შეფასებისთვის. სკოლა შეეცდება, მოსწავლეები, ფორმალური და არაფორმალური აქტივობებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩართონ სასწავლო პროცესში. სკოლა გამოიყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევების ტაქსონომიას მოსწავლეთა მიერ სამიზნე ცნებების ფლობის დონის განსასაზღვრად.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. შეფასება, როგორც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი, სკოლაში ეფუძნება საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებულ, გააზრებულ და გაზიარებულ შეფასების სისტემას, რომლის მიხედვითაც ხდება მოსწავლის შეფასება ობიექტურობის, გამჭირვალეობის და ვალიდობის და სამართლიანობის პრინციპების დაცვით მოსწავლეთა ჩართულობის მიზნობრიობიდან გამომდინარე. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ვალიდურია, რადგან შესაბამისია საგნობრივ სტანდარტებთან. სანდოა, რადგან გასაზომი კრიტერიუმებია წარმოდგენილი, სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების სისტემაზე, ინსტრუმენტებზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები. აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს და დასტურდება წარმოდგენილი რუბრიკებითაც. დამუშავებული დავალებები სხვადასხვა უნარის გააქტიურებაზეა ორიენტირებული, და ფაქტობრივი - დეკლარატიული ცოდნის ფლობის ხარისხის შემოწმების გარდა მიზნად ისახავს პროცედურული და პირობისეული ცოდნების ფლობის ხარისხის შემოწმებას, რაც აქვთ ასახული შეფასების რუბრიკებში.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. ექსპერტები ასკვნიან, რომ სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემის, სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ვერიფიკაციის მექანიზმი. ვერიფიკაციას სკოლა ძირითადად სამი მიმართულებით ახორციელებს: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. დოკუმენტში გაწერილია ვერიფიკაციის პროცესის განხორციელების პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა, სრტუქტურა და შინაარსი, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესი და პროცედურა.ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა აქვს მზაობა იმუშაობს შეფასების ვერიფიკაციის სისტემის გამართვასა და გავითარებაზე.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

6. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები, კერძოდ მოსწავლის პირადი საქმეები შენახულია სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე, საქმისმწარმოებელის პასუხისმგებლობით. მიმდინარე და კომპლექსური დავალებების შეფასებები ინახება კათედრაზე, კათედრის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის ქვეშ. სკოლა პასუხისმგებლობით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეკიდება სასკოლო დოკუმენტაციის წარმოებას და შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს, რომლის მიხედვითაც მოსწავლეთა პირადი საქმეები ბრძანებები, კლასის, საფეხურის დაძლევის შესახებ ინახება სკოლის კანცელარიაში. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საფეხურის დაძლევის ბრძანება ;
- განსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ;
- სასკოლო კურიკულუმი.
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- განმავითარებელი შეფასება მე-10 ლასი
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი
- მასწავლებლის პორტფოლიო
- მასწავლებლებთან ინტერვიუ
- ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა;
- საშუალო საფეხურზე განხორციელებული კომპლექსური დავალება,
- მოსწავლეთა ნამუშევრები;

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასკოლო კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია სკოლაში დამკვიდრებული მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნისათვის ზრუნვა და უზრუნველყოფა. პედაგოგიური საქმიანობა დამყარებულია სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთპატივისცემაზე, ერთმანეთის ზრუნვასა და მხარდაჭერაზე, აღნიშნეს კათედრის წევრებმა ექსპერტებთან გასაუბრების დროს. მხარდაჭრილია მოსწავლეების მიერ ინციატივები, იდეები, რაც აისახება დაგეგმილ და განხორციელებულ სხვადასხვა ღონისძიებებში და აქტივობებში. ჩვენს სკოლაში სასწავლო გარემო არის დაფუძნებული თანამშრომლობაზე, მხარდაჭერასა და მიმღებლობაზე. სკოლაში დამკვიდრებული კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი თანამშრომობაზე, მხარდაჭერასა და პროფესიული განვითარებაზეა ორიენტირებული. სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც მუდმივად ზრუნავს მასწავლებელთა განვითარებაზე კონსტრუქციული უკუკავშირითა და მხარდაჭერით. აგრეთვე სკოლაში მოქმედებს ადაპტაციის წესი. მომავალშიც სკოლა ხელს უწყობს მხარდამჭერი გარემოსა და პოზიტიური კლიმატის შექმნას კლასის და სკოლის დონეზე., განაცხადეს კათედრის წევრებმა და დასტურდება კიდეც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით. მოსწავლეებს უკუკავშირს აძლევენ განმავითარებელის შეფასებით, ასევე უზრუნველყოფენ მოსწავლეებისთვის სასწავლო რესურსების მიწოდებას. წარმოდგენილი კურუკულუმები, სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები, სკოლის სამოქმედო გეგმა და თვითშეფასება ადასტურებს იმ ფაქტს რომ სასწავლო პროცესსი სექმნილია მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემო.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით გაწერილი და წარმოდგენილი კურიკულუმები, რომლებიც შემუშავებულია სამიზნე ცნებებზე ორიენტირით და შესაბამისი კომპლექსური დავალებები, პროექტებში და ღონისძიებებში მონაწილეობა, ქმნის საფუძველს დავასკვნათ რომ სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებულად. მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მონაწილეობა ოლიმპიადებში, მოსწავლეთა ნაშრომები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის. განსაკუთრებული როლი ენიჭება სკოლაში, როგორც ფორმალურ განათლებას, ასევე არაფორმალურ განათლებას, განაცხადეს კათედრის წევრებმა ექსპერტებთან გასაუბრების დროს.ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან, სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული. (დასტურდება ფოტომასალით, სიგელებით, სკოლის ფეისბუქ გვერდზე განთავსებული აქტივობებით),

**ინდიკატორის მოთხოვნები დამაყოფილებულია**

3. სკოლაში სკოლაში დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა განაპირობებს სასწავლო პროცესში თანამშრომლობითი პრინციპების დაცვას, რაც დასტურდება კათედრის, სამეურვეო საბჭოს, მოსწავლეთა თვითმართველობის სხდომები და მშობელთა კრებების ჩატარებითა და საქმიანი ურთიერთობებით. პროფესიული ზრდის მიმართულებით სკოლაში დამკვიდრებულია ურთიერთდასწრება „კრიტიკული მეგობარი" სახით, აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს. კათედრის წევრები გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს; მასწავლებელთა შორის პროფესიული ზრდისა და პროფესიული განვითარების მიზნით ტარდება კათედრის შეხვდრები თვეში ორჯერ.ასევე მნიშვნელოვანია თანამშრომლობა მოსწავლებთან და მათ მშობლებთან. მოსწავლის ქცევაზე დადებითად აისახება მასწავლებლისა და მშობლების თანამშრომლობის ფაქტი.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. ექსპერტები, კათედრის წევრებთან გასაუბრების საფუძველზე, ასევე, მოსწავლეთა მიერ სასწავლო პროცესში შექმნილი საინტერესო პოსტერების გაანალიზებით ასკვნიან, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი; სკოლის შინაგანაწესის, სკოლის მართვის პოლიტიკის დოკუმენტებისა თუ სკოლის სტრუქტურული ერთეულების შინაარსი ორიენტირებულია საკლასო და სასკოლო პოზიტიური კლიმატის შექმნაზე. საგანმანათლებლო გარემო ორიენტირებულია თავისუფალი აზრის დაფიქსირებაზე ,რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სასკოლო საზოგადოებას სკოლისადმი მიკუთვნელობის განცდა ჰქონდეს. სკოლის დირექცია, თანამშრომლები, პედაგოგები სკოლაში ქმნიან უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოს. ბავშვების ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება თემატური ღონისძიებები, არაფორმალური აქტივობები, ხორციელდება სხვადასხვა პროექტები. მოსწავლეები ჩართულნი არიან ერთობლივ სასკოლო ღონისძიებებში.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- კურიკულუმის-მეთოდოლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მოსწავლის-გარემოსთან-ადაპტაციის-დებულება;
- მშობელთან ურთიერთობის დებულების კომუნიკაციის დამტკიცების შესახებ;
- ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- შინაგანაწესი;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მასწავლებლის პორტფოლიო
- საზოგადოებასთან ურთიერთობა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პირველადი ავტორიზაციისას ვერ შეფასდება ახორციელებს თუ არა სკოლა მონიტორინგასა და შეფასებას მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია", გაწერილია სასწავლო პროცესის მონიტორინგის და შეფასების მეთოდები, პრინციპები. სკოლაში არსებოს მონიტორინგის ფორმა, რომელიც ხორციელდება ხარისხის ჯგუფისა და კათედრების მიერ, განმავითარებელი რუბრიკის შესაბამისად, აღნიშნეს კათედრის წევრებმა ექსპერტებთან გასაუბრების დროს. მონიტორინგი მიმდინარეობს საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, შემდეგ მასწავლებელს აძლევენ კონსტრუქციულ უკუკავშირს. წერენ რეფლექსიებს, ხდება სუსტი და ძლიერი მხარეების გამოკვეთა იდენტიფიცირებული პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, დაადასურეს კათედრის წევრებმა გასაუბრებისას, მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია, აღნიშნეს მათ.

**ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას**

2. სკოლაში სასწავლო პროცესის მონიტორინგს და შეფასებას ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც კათედრებთან ერთად ეხმარება სასკოლო საზოგადოებას საჭიროებების გამოვლენასა და პრობლემების იდენტიფიცირებაში, არსებული პრობლემების აღმოფხვრის გზების ძიებასა და დადგენაში, ეს პროცესები მიმდინარეობს არსებული სიტუაციების ანალიზისა და უკუკავშირის საფუძველზე. სკოლა არ იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელში და გათვითცნობიერებული აქვს პასუხისმგებლობა სირთულეების დაძლევის მიმართულებით, რომელიც მხოლოდ სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებაზეა ორიენტირებული. მასწავლებლის საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა სასწავლო პროცესის განუყოველ ნაწილია, აღნიშნეს კათედრის წევრებმა ექსპერტებთან გასაუბრებისას, ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ საგნობრივ კათედრებსაც.ამ ეტაპზე სკოლაში არ არსებობს სადიაგნოსტიკო შეფასების ჩატარების ტრადიცია თუმცა არსებობს პედაგოგთა მზაობა დიაგნოსტირების სწორად წარმართვისთვის, რომლისთვისაც პირველი ინსტრუმენტია შერჩეული-კომპლ.დავალება.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. მონიტორინგი და შეფასება, რომელიც სკოლაში მიმდინარეობს ტარდება შეთანხმებული ფორმატით, წარმოდგენილი ვადებით და შეფასების ინსტრუმენტებით და შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება და სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და  მიმართულია სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის და განსზღვრავს წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზას და საშუალებას, დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრებისას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საშუალო საფეხურის  კურიკულუმები;
- კურიკულუმის-მეთოდოლოგია;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა;

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. გასაუბრების პროცესში კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ შფასება სასწავლო პროცესში ეყრდნობა  მრავალფეროვან წყაროებს, კერძოდ, მიმდინარეობს  გამოკითხვა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის,  მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვებით, მღებულობთ კოლეგებისგან უკუკავშირს, ხორციელდება ინფორმაციების მიღება კლასის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამრიგებლისაგან, მშობლისგან, თანაკლასელისგან, მასწავლებლის, კათედრის თავმჯდომარის, ურთიერთდაკვირვებისა და დასწრების ,მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფისაგან სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ..სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევების, შეფასების ვალიდურობისთვის ინფორმაციის მოპოვებისას სკოლა ეყრდნობა სხვადასხვა მონაცემებს. მაგ. სასკოლო საზოგადოების წევრებისგან, მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მოწოდებულ მოსაზრებებსა და ინფორმაციას. ასევე სხვადასხვა დოკუმენტურ, სტატისტიკური ტიპის რესურსებს.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, კერძოდ, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობით, ასევე დისკუსიაში, ჯგუფურ თუ ინდივიდუალურ მუშაობაში მონაწილეობის თვალსაზრისით, პრეზენტაციის წარმართვისას და ა. შ. ასევე პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებების, შესრულების პროცესზე დაკვირვებას, აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს ასევე, პედაგოგები საკუთარი პედაგოგიკური გამოცდილების ანალიზისას და მოსწავლის შეფასებისას, მასზე დასაკვირვებლად ითვალისწინებენ განსხვავებულ კონტექსტებს. ეს შეიძლება იყოს საკლასო გარემო, აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, პიროვნული გამოცდილება და ინტერესები. სკოლა გეგმავს ჰოლისტური შეფასების მეტი ინტენსივობით გამოყენების კულტურის დამკვიდრებას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემთა მიზნობრივი შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს. სკოლაში განხორციელებული საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების, პროექტების შეფასება ხდება შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან.აღნიშნულის განხორციელება ხდება: კლასის საათის ფარგლებში მოსწავლეთა გამოკითხვთ, მათი შეხედულებების და ხედვების დასადგენად, ასევე მშობელთა კრებებზე ხდება პრობლემური საკითხების განხილვა და ამ პრობლემების მოგვარების გზების ერთობლივად დასახვა.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლაში შეფასება ხორციელდება ჩართულობის, ურთიერთანამშრომლობის, შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ფაქტორების, პირადი და სოციალური ფაქტორების ინდივიდუალური განსხვავებების ფაქტორების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებით.კათედრის პედაგოგები თანამშრომლობენ მშობლებთან, დამრიგებელთან და კლასის სხვა პედაგოგებთან. მოსწავლის შეფასებისას მასწავლებელი ცდილობს სრულყოფილი სურათი შეიქმნას მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შესახებ. რაც შეიძლება გაპირობებული იყოს მისი პიროვნული უნარებითა და აკადემიური შესაძლებლობებით.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- კურიკულუმის-მეთოდოლოგია;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა;
- სტრუქტურული ერთეულების აღწერა,საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი;
- დამრიგებლის ანგარიში;
- მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრა ;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

#### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. საგნობრივ ექსპერტებთან გასაუბრების დროს, კათედრის წევრებმა დაადასტურეს, რომ კურიკულუმის შემუშავების და განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის და კათედრებთან მათი კოორდინირებულ მუშაობის შედეგად მიღებულ დასკვნებს და მიგნებებს. მიმდინარე ან წინა წლის განვლილი სასწავლო პროცესების შეფასების და გაანალიზების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად, რომლებსაც ითვალისწინებენ სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის გაასახლებლად და განახლებული კურიკულუმის შემუშავებისას, ამის დასტურია თუნდაც წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები.სკოლა უფრო მიზნობრივად გეგმავს შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისთვის, სადაც გათვალისწინებული იქნება დაგროვილი გამოცდილება, SWOT ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილის, კომპლექსური დავალების, პროექტის რეფლექსიები, რამდენად გაუმჯობესდა წინა სასწავლო წელთან შედარებით მოსწავლეთა შედეგები, რა უშლიდა ხელს ან უწყობდა ხელს მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესებას. ეს ყველაფერი გათვალისწინებული იქნება მომდევნო წლის კურიკულუმში.

**ინდიკატორის მოთხოვნები დამაყოფილებულია**

2. კათედრის წევრებმა ექსპერტებთან გასაუბრების დროს დაადასტურეს, განახლებული კურიკულუმები შემუშავება დაფუძნებულია განვლილი წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის და განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების შედეგებზე. ასეთი ვალდებულება გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ და დამტკიცებულ დოკუმენტებში და სკოლის სასწავლო პროცესის განუყოფელ და მნიშვნელოვან პროცესს წარმოადგენს.მომდევნო სასწავლო წლიდან გეგმება ამ პროცესებს მიეცეს დოკუმენტის სახე, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი, სასკოლო კურიკულუმზე მომუშავე პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქცია-მოვალეობანი. განხორციელდება მონიტორინგი და მოხდება მიღებული შედეგების შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საშუალო საფეხურის  კურიკულუმები;
- კურიკულუმის-მეთოდოლოგია;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ერთწლიანი-სამოქმედო-გეგმა;
- სკოლის-განვითარების-სტრატეგიული-გეგმა;
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- კათედრის ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

# ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

............................................................................................................................................................................................
............................................................................................................................................................................................
............................................................................................................................................................................................
............................................................................................................................................................................................

27.11.2023
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: